ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



## საქართველომ მონტენეგროს პირველობა არ დაუთმო

გვ.12

ორშაბათი, 19 სექტემბერი, 2016 №222 (7148) ფასი: 50 თეთრი

# ოქრუაშვილს აპენდიციტმა უმტყუნა, ბასიშვილს — ზონდერჯგუფმა



გვ.4

„აბა ახლა რა დროს აპენდიციტი იყო. 28 შეხვედრა ჩამივარდა, თითოზე საშუალოდ 40 ადამიანი. თან როდის დავდგები ფეხზე... ლუდის დალევაზე აღარაფერს ვამბობ. ძაღლის ბედი გაქვს, როგორც იტყვიან, იოსებ მაკრახიძე“





გვ.6

## მარგველაშვილი: „ივანიშვილს ტელევიზიით არ ვუპასუხებ“

„კვირიკაშვილთან შეიძლება მუშაობა“

## „ოცნებასა“ და ნაციონალებს ძალაუფლების გაყოფის იმედი აქვთ“



გვ.3

ლევან ხაბეიშვილი: „ქვეყანაში ორპოლუსიანობა აღარ შენარჩუნდება“

## ანზორ წოწონავა: „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევა თბილისში სამართლებრივი სიბეცეა“

„ზოგიერთი წინასაარჩევნო დაპირება ქვეყნისათვის სახიფათოა“

გვ.3





გვ.2

## ირაკლი სესიაშვილი: „ბურჭულაძე ივანიშვილის პროექტი არ არის“

ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# რამაზ საყვარელიძე: „მრავალპარტიული პარლამენტი შეიძლება მხოლოდ ფორმალობა იყოს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში არჩევნების შემდეგ შესაძლო პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე საუბრობს.**

*— ბატონო რამაზ, ექსპერტები ამბობენ, რომ მრავალპარტიული პარლამენტი გვეყოლება და ერთ პარტიას არ ექნება მონოპოლია. თუ მოვლენები ასე განვითარდა, მაშინ ერთი პარტია ვერ დააკომპლექტებს მთავრობას. როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს?*



— წლების განმავლობაში საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ისე ვითარდებოდა, რომ ერთი პარტია იმარჯვებდა დიდი უპირატესობით და შემდეგ ის აკომპლექტებდა მთავრობასაც და ყველაფერს. ეს პრაქტიკა შეიცვალა 2012 წელს და ჩვენ ვნახეთ საარჩევნო კოალიცია, რომელმაც ასევე კოალიციურად დააკომპლექტა მთავრობა. ექსპერტები აკეთებენ პროგნოზებს, რომ შეიძლება არა საარჩევნო, არამედ პოსტსაარჩევნო კოალიცია მივიღოთ, თუმცა პროგნოზების კეთება, მით უფრო პოლიტიკაში, უმადური საქმეა. ასე რომ განვითარდეს მოვლენები, ამისთვის ბევრ დეტალს აქვს მნიშვნელობა.

*— კონკრეტულად?*

— როგორ დალაგდება პოლიტიკური მოზაიკა, ვინ გადალახავს ბარიერს, ვინ ვერა, ჯერ უცნობია. თუ ერთ პარტიას ექნება მანდატების დიდი უმრავლესობა, მაშინ მრავალპარტიულობა მხოლოდ ფორმალობა იქნება. თუკი არცერთ პარტიას არ ექნება უმრავლესობა, მაშინ პარტიებს ერთმანეთთან კომპრომისზე წასვლა მოუწევთ და სწორედ მაშინ იქმნება პოსტსაარჩევნო კოალიცია, რაც მიგვაახლოებს პარლამენტის იმგვარ ცხოვრებასთან, რომლითაც ცხოვრობს ევროპული პარლამენტარიზმი.

ეს კარგი სკოლა იქნებოდა თავად პოლიტიკოსებისთვის, რომ მათ ესწავლათ რეალური საპარლამენტო მუშაობა და არა მხოლოდ არჩევნების წინ ბრძოლა. ეს იქნებოდა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი დემოკრატიისკენ, რაც მისცემდა ქვეყანას იმ შანსს, რომ ერთი პარტიის დიქტატი არ იქნებოდა, მაგრამ მე ეჭვი მეპარება, ეს სასურველი ვარიანტი რეალობად იქცეს.

*— რატომ გეპარებათ ეჭვი?*

— ეს მოლოდინი იყო კოალიციის დაშლის დროს, მაგრამ მერე დაიდო სოციოლოგიური კვლევის შედეგები, სადაც, პრაქტიკულად, ისევ ორთაბრძოლაა ნაციონალებსა და „ოცნებას“ შორის გამართული. ამ ორთაბრძოლაში „ოცნებას“ ისევ წამყვანი ადგილი და ორჯერ მეტი რეიტინგი აქვს, დანარჩენი პარტიები კი ბარიერის ზღურბლთან დგანან. ამიტომ ვამბობ, რომ ამ პარტიებმა ბარიერი რომც გადალახონ და შევიდნენ პარლამენტში, ეს იქნება მხოლოდ ფორმალური მრავალპარტიული პარლამენტი.

მაგრამ საკონსტიტუციო უმრავლესობით შეიძლება ვერცერთი პარტია ვერ მოვიდეს და აქ საჭირო გახდეს თანამონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში.

*— როდესაც პრემიერ კვირიკაშვილს ჰკითხეს, თუ ვისთან წარმოუდგენია მას თანამშრომლობა, მან უპასუხა, რომ „პატრიოტთა ალიანსთან“ გამორიცხავს ასეთ თანამშრომლობას. შეიძლება, ისევ ძველი პარტნიორები ვიხილოთ ერთ კოალიციაში?*

— არ არის გამორიცხული იმდენად, რამდენადაც მმართველი ძალა ანგარიშს უწევს საგარეო პოლიტიკური კურსის განაცხადს, იმ დასავლურ ვექტორს, რომელზეც მან თავიდანვე გააკეთა განაცხადი. როდესაც კოალიცია შეიქმნა, სწორედ ეს პოსტულატი იყო გათვალისწინებული. კოალიცია დაკომპლექტდა იმ პარტიებით, რომელთა განაცხადიც და ვექტორიც სწორედ პროდასავლურობა იყო. ამიტომ პარტნიორების შერჩევის დროს „ქართული ოცნება“ პარტიების პროდასავლურობას კვლავ ყურადღებას მიაქცევს.

ეს იქნება კიდევ ერთი გზავნილი დასავლეთისთვის, რომ საქართველო პრორუსული გავლენების ქვეშ არ არის.

# ირაკლი სესიაშვილი: „ბურჭულაძე ივანიშვილის პროექტი არ არის“

ნონა ცაბაძე

**ბოლო პერიოდის პროცესებს „ახალ თაობასთან" ინტერვიუში უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი სესიაშვილი აფასებს.**

*— ბატონო ირაკლი, ხელისუფლების პირველი პირები გამუდმებით საუბრობენ დესტაბილიზაციაზე, მოსალოდნელ საფრთხეებზე. რეალურად არის იმის საფრთხე, რომ სიტუაცია დაიძაბება?*

— ჩვენს ოპონენტებს რომ მსგავსი ტიპის ბოროტი აზრები თავში უტრიალებთ, ამის კონკრეტული ინფორმაცია არსებობს.

*— მაშინ რატომ არ ხდება კონკრეტული ზომების მიღება? ოპონენტები სწორედ ამას გსაყვედურობენ, რომ ეს არის არასერიოზული განცხადებები შს მინისტრის მხრიდან, თუკი არსებობს კონკრეტული ინფორმაციები, სათანადო ზომებს რატომ არ მიმართავენო?*

— ვიღაცას რომ რაღაცა განზრახვა ჰქონდეს, რაღაცისთვის ემზადებოდეს, ეს არ ნიშნავს, რომ უკვე საკმარისი მტკიცებულებაა, ეს შევაფასოთ, როგორც დანაშაული.

*— მაშინ წინასწარ რატომ კეთდება განცხადებები?*

— ეს განცხადებები წინასწარ კეთდება არა იმიტომ, რომ ამით ხელისუფლება ჰაერზე ლაპარაკობს. ამის წინასწარ გაჟღერება ხდება სწორედ იმიტომ, რომ მათ, ვისაც ეშმაკი ჰყავს შეჩენილი, ბოროტი ზრახვები აქვს და ფიქრობს, რომ არჩევნები უნდა გამოიყენოს ქვეყნის დესტაბილიზაციისთვის, ჰქონდეთ იმის განცდა, რომ სახელმწიფომ ყველაფერი იცის, სამართალდამცავები ფლობენ შესაბამის ინფორმაციას, რაც პრევენციულად იმუშავებს და ეს ადამიანები შეეშვებიან მსგავსი ტიპის დანაშაულის ჩადენას.

გარდა იმისა, რომ ამ გეგმას ჰყავს მოთავეები, ასევე არიან ადამიანები, რომლებიც შესაძლოა ბრმად გახდნენ ამ ამბის მონაწილეები და შემსრულებლები და, ნებსით თუ უნებლიეთ, გახდნენ დამნაშავეები. ამიტომ ასეთი განცხადებები, პირველ რიგში, კეთდება სწორედ იმიტომ, რომ თუ ვინმე გულუბრყვილოდ აჰყვება მათ ამ გეგმებს, გააზრებული უნდა ჰქონდეთ, რომ სახელმწიფომ ეს იცის და ამათ პასუხსაც აგებინებს!

*— ითქვა ისიც, რომ თქვენი მხრიდან ეს არის მოსახლეობის დაშინების მცდელობა, რათა არჩევანი „ოცნების“ სასარგებლოდ გაკეთდეს.*

— ეს არის მოსახლეობის დამშვიდების მცდელობა და არა — დაშინების! თუმცა, რა მიდგომითაც დღეს მოქმედებს სახელმწიფო, ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმაც ისაუბრა, დააკონკრეტა კიდეც ორგანიზაცია. ეს არის სწორედ ის, რომ ჩვენ ვიცით, ამას აუცილებლად მოჰყვება რეაგირება და ურჩევნიათ, თავიანთი ბოროტი ზრახვები გვერდზე გადადონ და ცივილიზებულ ქვეყანაში იცხოვრონ.

*— დამოკლეს მახვილივით კიდია მოსმენების თემა „ოცნების“ თავზე. მმართველობის ოთხი წელი დაასრულეთ და ვერა და ვერ მოხერხდა, რომ ამაზე არ საუბრობდნენ.*

— კონკრეტული ფაქტები არ არსებობს, რომ ეს ყოველივე ხელისუფლებას დაბრალდეს. ჩვენს ინტერესში ეს არ შედის. დღეს ტექნიკური საშუალებები ისეა განვითარებული, რომ ნებისმიერს შეუძლია ჩაწეროს, გაავრცელოს და მერე თითი ხელისუფლებისკენ გაიშვიროს. მე სწორედ ამ ინტერესს ვხედავ, იმიტომ, რომ სტერეოტიპს, რომ დღევანდელი ხელისუფლება რაღაცით მაინც ჰგავს წინა ხელისუფლებას, მცირედი ფაქტი მაინც სჭირდება. სწორედ ამიტომ ცდილობს ნაციონალური მოძრაობა, პარალელები გაავლოს და თქვას: გისმენდით, მაგრამ ესენიც გისმენენ. ეს მცდელობა უსუსურია.

*— რატომ?*

— იმ სამარცხვინო ქმედების გამეორებას, რასაც თვითონ ჩადიოდნენ, ნამდვილად არ ვაპირებთ. ჩვენ ვისწავლეთ, როგორ არ უნდა ვმართოთ ქვეყანა, როგორ არ უნდა მოვეპყრათ ხალხს. ვინ არიან პროვოკაციის მატარებლები, საზოგადოებამ ჩვენზე კარგად იცის. აქ კი არ გისმენენ, არამედ ამ სტერეოტიპის დანერგვა ხდება პროპაგანდით, პოლიტიკური ინტერესის გათვალისწინებით. საბოლოო ჯამში, საკუთარ თავს არავინ აბრალებს, არჩევნებში დავმარცხდიო. ყველა ცდილობს, საკუთარი წინასწარ გადაწყვეტილი არჩევნებში დამარცხება ხელისუფლების ქმედებას დააბრალოს.

*— ამა თუ იმ პარტიის საფუძვლის შერყევა, მხარდამჭერების მიერ პარტიის დატოვება ყოველთვის ხელისუფლებას ბრალდება. გვესმის, რომ ივანიშვილმა იყიდა, მოისყიდა. ამაზე რას იტყვით?*

— პირველ რიგში, არსებობს თუ არა საფუძველი, რომ ამ ადამიანებს ესა თუ ის პარტია დაეტოვებინათ?! ბურჭულაძე მოვიდა თავისი პირადი პიროვნული რესურსით და, ჩემი აზრით, თვალთმაქცობით შეეცადა, ხალხი მოეტყუებინა, დაემალა, რეალურად ვინ იყო.

*— და მაინც ვინ იყო?*

— რეალურად ის არის ნაციონალური მოძრაობის, მიხეილ სააკაშვილის პროექტი ორი. თვითონ ნაციონალური მოძრაობა დისკრედიტებულია. ვინ დაუჭერს მხარს ან ბარამიძეს, ან მაჭავარიანს, ან გოგორიშვილსა თუ აკო მინაშვილს?! დისკრედიტებულია მათ შორის საკუთარ მხარდამჭერებში. ამიტომ ნაციონალური მოძრაობის ნარჩენებისგან შექმნა ახალი ძალა, ახალი სისხლის სახით მიუჩინა ბურჭულაძე. ხალხმა, მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ რეალურად საქმე აქვს ნაციონალურ მოძრაობა ორთან, ბუნებრივად დატოვა ეს პარტია.

*— რით იყო ასე დავალებული ბურჭულაძე სააკაშვილისგან, რომ ამ დღეში ჩაიგდო თავი? განა მან არ იცოდა, რომ მისი, როგორც პიროვნების დისკრედიტაცია მოხდებოდა?*

— ეს თავად მას ჰკითხეთ, მე ნუ მეკითხებით.

*— ბევრი იმაზეც საუბრობს, რომ ბურჭულაძე ივანიშვილის პროექტია.*

— ივანიშვილის პროექტი რომ იყოს, ჩემგან ასეთ შეფასებას ვერ მოისმენდით. მეტსაც გეტყვით, ივანიშვილს პროექტები არ აქვს. ივანიშვილი მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას“ ღიად, გამჭვირვალედ, ყოველგვარი შეთქმულების თეორიების გარეშე.



*— დაძაბულობის ფონი არჩევნების მოახლოებასთან ერთად მატულობს. ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება დამძიმდა. ამაზე როგორია თქვენი პოზიცია?*

— ის, რომ ვითომდა ქვეყანაში სიტუაცია იძაბება, მხოლოდ ჩვენი ოპონენტებისგან გვესმის.

*— თუნდაც შაბათს ორი დაყაჩაღება მოხდა, დღისით, მზისით ორი ბანკი დააყაჩაღეს. ამაზე რას იტყვით?*

— კრიმინალი მთელ მსოფლიოშია. საქართველოშიც იყო, არის და იქნება. როდესაც ჩვენი ოპონენტები სიტუაციის დამძიმებაზე საუბრობენ, ამ ფონზე გვესმის ჩვენი უცხოელი კოლეგების შეფასებები, რომ საქართველო უსაფრთხო ქვეყანაა. აგერ ბელგიამ თავის ტურისტებს ურჩია, საქართველოში დაისვენონ, იმიტომ, რომ ნდობა აქვთ ამ ქვეყნისა და მისი უსაფრთხოების მიმართ. ნაციონალურ მოძრაობას ჩვენი ქვეყნის არცერთი წარმატება არ ახარებს, პირიქით, აშინებს. სადაც დემოკრატია და თავისუფლება იქნება, ზუსტად იციან, რომ იქ მათი ადგილი არ არის.

# რესპუბლიკური პარტია პრემიერის შეთავაზებულ მემორანდუმს ხელს მოაწერს

რესპუბლიკური პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილი პრემიერის მიერ პარტიებისთვის შეთავაზებულ მშვიდობის მემორანდუმს გამოეხმაურა, რომლის მიზნადაც წინასაარჩევნო პერიოდში მშვიდობიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა სახელდება.

რესპუბლიკელების სახელით, უსუფაშვილი მზადყოფნას გამოთქვამს მთავრობის მეთაურის აღნიშნულ ინიციატივასთან შეერთებაზე.

— ყველა დროში ყველა არჩევნებში და მათ შორის 2 თვის წინაც პარლამენტში შემუშავდა და მივიღეთ საპარლამენტო პოლიტიკურმა ძალებმა ძალიან სერიოზული რეზოლუცია ამავე თემაზე. თუ ეს რეზოლუცია დამატებას, გამაგრებას საჭიროებს და პრემიერი ასე თვლის, ჩვენ მზად ვართ, მას შევუერთდეთ.

ჩვენ მზად ვართ, ნებისმიერ შემთხვევაში, იმისდა მიუხედავად, ვინ მოაწერს და ვინ არ მოაწერს ხელს. გვჯერა, რომ ამომრჩეველი და ყველა დავაკვირდებით, ვისი ხელმოწერაა პიარაქცია და ვისი ხელმოწერაა რეალური სურვილი და მზადყოფნა იმისთვის, რომ მშვიდობიანი და სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს ქვეყანაში, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნებასა“ და ნაციონალებს ძალაუფლების გაყოფის იმედი აქვთ“

## ლევან ხაბეიშვილი: „ქვეყანაში ორპოლუსიანობა აღარ შენარჩუნდება“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ ამბობს ოპოზიცია უარს ხელისუფლების მიერ შეთავაზებული მემორანდუმის გაფორმებაზე, რაზე გარიგდნენ ნაცმოძრაობა და „ოცნება", რა თემაზე იქნება კონსულტაციები, ვის არ აწყობს მესამე ძალის გამოჩენა? – ამ თემებზე „ახალ თაობას" საარჩევნო ბლოკ „ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის" ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.**

***– პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა პოლიტიკურ პარტიებს არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებასთან დაკავშირებით მემორანდუმის გაფორმება შესთავაზა. პარტიების დიდი ნაწილი უარს ამბობს შეთავაზებაზე. თქვენი საარჩევნო ბლოკი რას იზამს?***

– მიუხედავად იმისა, რომ მემორანდუმის შინაარსი ძალიან მოგვწონს, ჩვენი ბლოკი მას არ შეუერთდება. ჩვენ არ გვჯერა იმ ხელისუფლების, რომელიც მხოლოდ მემორანდუმით გვთავაზობს მშვიდობასა და ნორმალურ საარჩევნო გარემოს. „ქართულმა ოცნებამ“ მემორანდუმით კი არა, საქმით უნდა დაგვანახოს, რომ მართლაც მშვიდობიანი არჩევნების ჩატარებას აპირებს.

***– რატომ არ გჯერათ, რომ ხელისუფლებას ამის გაკეთება მართლაც უნდა? იქნებ სწორედ ამიტომ აფორმებს პარტიებთან მემორანდუმს?***

– როგორ უნდა დავუჯეროთ ხელისუფლებას, როდესაც ჩვენი ბლოკის წევრებზე ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა ხორციელდება. ნინოწმინდაში წარმოუდგენელი რამე მოხდა. იქ ბავშვი მხოლოდ იმიტომ დააკავეს, რომ მისი ოჯახის წევრები ჩვენი მხარდამჭერები არიან.

***– ბავშვის დაკავება რანაირად მოხდა?***

– 13 წლის ბავშვი სკოლაში მიდიოდა, როდესაც მოხდა მისი დაკავება.

***– დაკავების მოტივი რა იყო? ასე უმიზეზოდ ხომ ვერ დააკავებდნენ.***

– სკოლაში მიმავალმა მოზარდმა ერთ-ერთ საარჩევნო პლაკატს ხელი ააყოლა და ახია. ამის გამო ბავშვი 5 საათი ჰყავდათ პოლიციაში. როგორც გავიგეთ, მათ სახლზე ხორციელდებოდა თვალთვალი და, ეტყობა, სახლიდან გამოსულ ბავშვს აედევნნენ.

***– ახეული პლაკატი რომელი პარტიის იყო?***

– „ქართული ოცნების“. არა მგონია, პოლიციამ ვინმე იმის გამო გააჩეროს, რომ მან ჩემი ან სხვა კანდიდატის პლაკატი ჩამოხია.

აღარაფერს ვამბობ პაატა ბურჭულაძისა და ნიკა გვარამიას სატელეფონო საუბრის ჩანაწერის გამოქვეყნებაზე. შინაარსის განხილვას არ ვაპირებ. ეს არაეთიკურია. არავინ იცის, როგორ არის მიჭრილ-მოჭრილი ეს საუბარი. ამ საუბრის ინტერპრეტაცია, სულ მცირე, 30-ნაირად შეიძლება.

ამ ამბავში მთავარი ისაა, რომ ისევ გვისმენენ. არაერთი მუქარის მომსწრენი გავმხდარვართ. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში ასეთი უკანონო მეთოდების გამოყენება ცხოვრების წესად იქცა.

ერთ ამბავსაც გავიხსენებ – ჩვენი პარტიის ოფისთან სუსმა გოგონა აიყვანა. 3– საათიანი „გამოძიების“ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის ჩვენთან არანაირ კავშირში არ იყო.

ასეთ ვითარებაში მემორანდუმი კი არ უნდა გააფორმო, არამედ კორცხელის მსგავსი ინციდენტები უნდა აღკვეთო. სამწუხაროდ, ბევრი ფაქტი არსებობს იმის სათქმელად, რომ ხელისუფლება ძალადობრივი მეთოდებით აპირებს არჩევნების ჩატარებას.

***– აბა, მემორანდუმის შეთავაზების მიზანი რა არის?***

– ეს არის მხოლოდ პოპულიზმი. პრემიერი კვირიკაშვილი გაიძახის, ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის მეორე დღიდან დაეტყობა ქვეყანასო. ეს არის ანეკდოტი. ხელისუფლებაში 4 წელია არიან და კარგი ვერაფერი დაატყვეს ამ ქვეყანას. თუ მართლაც ხელისუფლებაში მოსვლის მეორე დღიდან შეუძლიათ, ქვეყანას რაიმე სიკეთე მოუტანონ, არჩევნებამდე გააკეთონ ეს.

დაახლოებით ამ ტიპის განცხადებაა მემორანდუმის გაფორმების შემოთავაზებაც. ამ განცხადებებით ამომრჩევლის გულის მოგება სურთ.

მათი მიზანი საერთაშორისო თანამეგობრობის კეთილგანწყობის მოპოვებაცაა.

საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები აქტიურად აკვირდებიან აქ მიმდინარე პროცესებს. მათ იციან, რა გარემოში უწევს ოპოზიციას საარჩევნო კამპანიის წარმოება.

მემორანდუმის შემომთავაზებლებს ვთავაზობ, გამოასწორონ დაშვებული შეცდომა. ისე, ეჭვი მეპარება, ხელისუფლებისთვის ეს ამბავი უცხო იყოს. სკოლებისა და საბავშვო ბაღების მასწავლებლებს იბარებენ და პირდაპირ სთხოვენ, წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაერთონ „ოცნების“ სასარგებლოდ.

მე კარგა ხანია გავიძახი, რომ სუსი ერევა ბაღის დირექტორების დანიშვნაში.

169-ე ბაღზე სულ ვამბობდი, რომ დირექტორად „ოცნების“ აქტივისტი დანიშნეს. ეს ქალი ახლა 24-ე საარჩევნო უბნის კოორდინატორია ვარკეთილში.

166-ე ბაღში დირექტორის მოადგილედ ასევე „ოცნების“ აქტივისტი დაინიშნა. ეს ქალი „ქართული ოცნების“ კოორდინატორია ვარკეთილში. მუნიციპალიტეტის სამსახურის მოადგილე, ქალბატონი ტყავაძე, რომელიც შვებულებაშია გასული, „ქართული ოცნების“ ვარკეთილის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობს, ქმარი კი მისი მოვალეობის შემსრულებელია.

კომიკური სიტუაციაა, მაგრამ სასაცილო არ არის, რადგან საქმე გვაქვს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან. დამლაგებლებსაც კი სთხოვენ საარჩევნო კამპანიაში ჩართვას. ასეთ ვითარებაში რა მემორანდუმი უნდა გავაფორმოთ.

„ქართული ოცნების“ წევრებს უნდა ესმოდეთ, რომ ასეთი ბინძური მეთოდების გამოყენებით შორს ვერ წავლენ. შევარდნაძის ხელისუფლება და ნაციონალები ოპონენტებს ბინძური მეთოდებით ებრძოდნენ და ორივემ ცუდად დაამთავრა. ეჭვი მაქვს, რომ ესენიც ცუდად დაამთავრებენ.

***– თითქმის ყველა პარტია ამტკიცებს, რომ არჩევნები გაყალბდება. ამ საკითხზე თუ გაქვთ კომუნიკაცია და რას იზამთ, თუ მართლა მოხდა არჩევნების გაყალბება?***

– ყველა იმ ძალასთან, რომელიც პროდასავლური ორიენტაციისაა, ბევრ საკითხზე გვექნება კოორდინაცია. მათთან ერთად დავიცავთ ხმებს. უბნებზე გვეყოლება დამკვირვებლები და შევეცდებით, არ დავუშვათ უკანონობა. რაც შეეხება კოორდინირებულ მოქმედებებს, ამაზე მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს. ყველა ის პარტია, რომლებსაც ქვეყნის წინსვლა უნდათ, აუცილებლად შეეწინააღმდეგება გაყალბებას. ამას კი დიდი ძალისხმევა დასჭირდება. ბევრი ბრძოლა მოგვიწევს, ხელისუფლებას თავისი რომ არ გავატანინოთ.

სერიოზულად მეშინია, რომ არაფრის მაქნის ხელისუფლებას არჩევნების მშვიდად ჩატარების ძალა არ ექნება. 2013 და 2014 წლების არჩევნები მაგალითად ვერ გამოდგება. მაშინ „ოცნება“ რიხინ-რიხინით გავიდა.

ამ არჩევნების შემდეგ რამდენიმე ადგილზე ჩატარდა შუალედური არჩევნები და ყველგან სკანდალი იყო – კორცხელი, გარდაბანი, საგარეჯო.... სადაც კი ოდნავ დაიძაბა სიტუაცია, ყველგან ჩხუბი და უბედურება დაიწყო. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, როცა არჩევნები მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართება. არჩევნების გაყალბება ქვეყნის განვითარებისთვის დამღუპველი იქნება. ამიტომაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ გაყალბება არ მოხდეს.

***– თქვენს ბლოკზეც ვისაუბროთ. „ქართული ოცნება“ ამბობს, რომ ნაციონალების სატელიტები ხართ, ყოფილი ხელისუფლების მტკიცებით კი – ივანიშვილის მარიონეტები.***

– ორივე პარტია ცდილობს ჩვენს გასვრას, რასაც მარტივი ახსნა აქვს. ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ უნდათ, რომ ქვეყანაში იყოს მხოლოდ 2 პოლუსი, რათა გამუდმებით მათ შორის, ანუ ცუდსა და უარესს შორის კეთდებოდეს არჩევანი.

***– ნაციონალურ მოძრაობას აწყობს ასეთი მდგომარეობა?***

– აწყობს რომელია. ყოფილი ხელისუფლება მხოლოდ „ოცნებას“ აღიარებს ოპონენტად. ისინი ერთმანეთით სუნთქავენ. საკმარისია, გამოჩნდეს რომელიმე სხვა რეალური ძალა, რომ მზად არიან, გაერთიანებული ძალებით დაესხან თავს. ასე მოხდა ჩვენს შემთხვევაშიც.

ადრე გამუდმებით ერთმანეთის ლანძღვაში იყვნენ და ბოლო პერიოდში ერთმანეთი აღარც კი გახსენებიათ. ორივე ჩვენ გვლანძღავს. იმას ვერცერთი მხარე ვერ ამბობს, რომ ჩვენს გუნდში არაპროფესიონალები არიან, ვერც იმას ამტკიცებენ, რომ საქმის კეთება არ შეგვიძლია. ერთი მეოცნებეობას გვაბრალებს, ხოლო მეორე – ნაციონალობას.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ტალახის სროლა უფრო აქტიურ ფაზაში შევა. ჩვენმა მოსახლეობამ ბევრი რამე ნახა და გამოცადა, ამიტომაც



მისი შეცდომაში შეყვანა ასეთი მარტივი აღარ იქნება.

***– ზემოთ აღნიშნეთ, რომ „ოცნება“ და ყოფილი ხელისუფლება მხოლოდ ერთმანეთს აღიარებენ. ხომ არ უნდა ველოდოთ, რომ ისინი არჩევნებამდე ან მის შემდეგ გარიგდებიან?***

– ამათგან არაფერს გამოვრიცხავ. ერთი რამე კი კარგად ვიცი – „ოცნებასა“ და ნაციონალებს ერთმანეთი სასიცოცხლოდ სჭირდებათ. „ოცნება“ ნაციონალებისგან მტრის ხატს ქმნის, ყოფილი ხელისუფლების წევრები კი ასეთ ხელისუფლებას ვერც კი ინატრებდნენ. ალბათ, აღარ იქნება საქართველოში ისეთი მთავრობა, რომელიც ასეთი უმაქნისი და უუნარო იქნება. მოკლედ, გარიგებული არიან და ცდილობენ, ორპოლუსიანობა შეინარჩუნონ.

***– ორივე მხარე ერთმანეთს ადანაშაულებს დესტაბილიზაციის მცდელობაში. ესეც ორპოლუსიანობის შენარჩუნებას ემსახურება?***

– ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან „ოცნება“ მოსალოდნელ პროვოკაციებზე საუბრობს, გამუდმებით არეულობა და გადატრიალება ელანდება. თუ რამე ხდება, მგელი მოდისო, კი არ უნდა იყვირო, დამნაშავე უნდა დაიჭირო.

ამ 4 წლის განმავლობაში არავინ დაუკავებიათ, რაც სერიოზული ეჭვების საბაბს იძლევა. მოქმედ და ყოფილ ხელისუფლებებს იმედი აქვთ, რომ ხალხი მათ შორის გააკეთებს არჩევანს. ამის იმედი ტყუილად აქვთ. ამომრჩევლის 60% არცერთ მათგანს არ უჭერს მხარს. ასე რომ, ტყუილად აქვთ ძალაუფლების გაყოფის იმედი.

# სამაჩაბლო ალანიის ეპარქიის შემადგენლობაში შედის

შორენა მარსაგიშვილი

**რუსეთის საპატრიარქომ არაერთხელ განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს და აფხაზეთ-სამაჩაბლოს მის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს. ამის მიუხედავად, მოსკოვი ამ რეგიონების ათვისებას რელიგიურადაც ცდილობს და ამაში რუსეთის საპატრიარქო მნიშვნელოვან როლს ასრულებს.**

განსაკუთრებულ ყურადღებას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია აფხაზეთის მიმართ იჩენდა. აგვისტოს მიწურულს გაირკვა, რომ რუსეთის პატრიარქმა ახალი ათონის გადაცემაც მოითხოვა. ამის გამო აფხაზეთში ვითარება სერიოზულად გამწვავდა.



მას შემდეგ, რაც აფხაზეთში რუსმა სასულიერო პირებმა ფეხი კარგად მოიკიდეს, გადაწყვიტეს, სამაჩაბლოსაც მიხედონ.

აქამდე რუსეთის საპატრიარქო ამ მიმართულებით საკმაოდ მოიკოჭლებდა, ახლა კი ისე გააქტიურდა, რომ მზად არის, ცხინვალის რეგიონი მიიერთოს, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, სამხრეთ ოსეთის ეპარქია შესაძლოა ალანიის ეპარქიას დაუქვემდებარონ.

ამის შესახებ განცხადება ალანიისა და ვლადიკავკაზის ეპისკოპოსმა ლეონიდმა გააკეთა.

ლეონიდ გორბაჩოვი ალანიის ეპისკოპოსად 3 თვის წინ აკურთხეს. ამ დღეებში მან ვლადიკავკაზში პირველი პრესკონფერენცია გამართა და სწორედ იქ გააჟღერა ეს ამბავი.

– სამხრეთი და ჩრდილოეთ ოსეთი ერთ ეპარქიაში გაერთიანდებიან. ღმერთისთვის შეუძლებელი არაფერია, – განაცხადა მედიასთან შეხვედრისას ალანიის ეპისკოპოსმა.

იმედია, ამასთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქო რუსეთის ეკლესიისგან განმარტებებს მოითხოვს. რუსეთის პატრიარქმა არაერთხელ განაცხადა, რომ ისინი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს საქართველოს ნაწილად განიხილავენ და, შესაბამისად, არც აფხაზეთისა და ცხინვალის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებას აპირებენ.

ამ პირობის ფონზე ცოტა უცნაურია, რომ სამაჩაბლოს დაქვემდებარებას ალანიის ეპარქიისთვის აპირებენ.

ეპისკოპოსი ლეონიდე სამაჩაბლოში ეკლესიის აშენებასაც აპირებს. მისი განმარტებით, მშენებლობას ანდრია პირველწოდებულის სახელობის ფონდი დააფინანსებს.

ალანიის ეპისკოპოსს უკვე მოუსწრია ცხინვალში ჩასვლა და იქაურ ხელისუფლებასთან გაბაასება. ლეონიდ გორბაჩოვი უკმაყოფილოა იმით, რომ ცხინვალის რეგიონში სექტები საკმაოდ მომძლავრდნენ.

– აქ მოსახლეობის 100% მართლმადიდებელია. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ აქ ძალიან სერიოზულად მუშაობენ სექტები. ისინი ადამიანებს ტვინს ურევენ, – ჩივის ალანიის ეპისკოპოსი.

აქამდე რუსეთის საპატრიარქო ამ რეგიონის მიმართ დიდ ყურადღებას არასდროს იჩენდა, ახლა კი ყურადღება გაათმაგებულია. ეს ყურადღება სექტების მომრავლებაზე მეტად შესაძლოა რადიკალ ისლამისტებს უკავშირდებოდეს.

ბოლო წლებში ცხინვალის რეგიონში მრავლად დასახლდნენ დაღესტნელები. მათ ცოტა ხნის წინ მეჩეთის მშენებლობაც დაიწყეს. ამას რუსეთის მხრიდან სერიოზული პროტესტი მოჰყვა და მშენებლობა შეჩერდა, თუმცა, როგორც დაღესტნელები ამბობენ, მხოლოდ დროებით.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ანზორ წოწონავა: „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევა თბილისში სამართლებრივი სიბეცეა“

## „ზოგიერთი წინასაარჩევნო დაპირება ქვეყნისათვის სახიფათოა“

მარიამ მჭედლიშვილი

**პარტიების წინასაარჩევნო დაპირებებს შორისაა ისეთებიც, რომლებიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ეხება. თავისუფალი დემოკრატების ინიციატივით, უნდა მოხდეს უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრების არჩევა, ლეიბორისტები კი ამომრჩეველს უმაღლესი საბჭოს ხელახალ არჩევნებს ჰპირდებიან.**

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე ანზორ წოწონავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში განმარტავს, თუ რატომ ეწინააღმდეგება ეს წინადადებები საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

**ანზორ წოწონავა:**

– თბილისში აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს ვერ აირჩევ. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევა უნდა მოხდეს აფხაზეთში. ჯერჯერობით ეს შეუძლებელია, ვინაიდან აფხაზეთში მოხდა ეთნიკური წმენდა და გენოციდი, იქიდან გამოდევნილია მოსახლეობის დიდი ნაწილი. ჩვენ აფხაზეთში ვართ არჩეული. ჩვენც დევნილობაში ვიმყოფებით. აფხაზეთიდან დევნილები გაფანტულები არიან. ისინი, ძირითადად, დსთ-ის ქვეყნებში არიან წასული.

თბილისში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევა მარტო უკანონო კი არ არის, ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და არაღიარების პოლიტიკას. ეს იქნებოდა აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობა.

***– უმაღლესი საბჭოს თბილისში არჩევის იდეა ახალი არ არის.***

– მართლაც, ეს დამანგრეველი იდეა არ არის ახალი. ამას ერთი ჯგუფი ჯერ კიდევ 2003 წელს მოითხოვდა. ამ ჯგუფს ისიც არასწორად მიაჩნდა, რომ ჩვენი დეპუტაცია შედიოდა პარლამენტის შემადგენლობაში. ამ პირებმა მაშინ სარჩელით მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს. სასამართლომ დაადგინა, რომ ჩვენი საქმიანობა, ჩვენთვის უფლებამოსილების გაგრძელება კანონიერია და არავითარი არჩევნები აფხაზეთის გარეთ არ უნდა ჩატარდეს. ჩვენ ყველანი იძულებით გამოგვდევნეს, აფხაზეთის გარეთ დროებით ვართ რეგისტრირებული. არჩევნები უნდა გაიმართოს აფხაზეთში.

***– მანამდე ტერიტორიული მთლიანობაა აღსადგენი.***

– ცხადია. ამაზე ჩვენ ყველამ უნდა ვიზრუნოთ. ასეთი იდეებით აფხაზეთს კი არ ვიბრუნებთ, არამედ ვაკანონებთ დღევანდელ მდგომარეობას და ვაღიარებთ აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმს.

***– საკონსტიტუციო სასამართლოს ადრინდელი გადაწყვეტილების მიუხედავად, თქვენს დეპუტაციას პარლამენტში მაინც შეუწყვიტეს უფლებამოსილება.***

– დიახ. ეს 2004 წლის აგვისტოში მოხდა. სააკაშვილის ხელისუფლება ყველანაირად გვავიწროებდა. ყველაზე ცუდი ისაა, რომ აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი დეპუტაცია ახლაც არაა წარმოდგენილი პარლამენტში. არადა, 150 დეპუტატიდან 8 ადგილი აფხაზეთს ეკუთვნის, 4 – ცხინვალის რეგიონს.

***– ამის შესახებ პარლამენტისთვის არ მიგიმართავთ?***

– როგორ არა! იურიდიულ კომიტეტში გვითხრეს, როცა დავიბრუნებთ ამ ტერიტორიებს, მაშინ გამოგიყოფთ ადგილებსო. ესაა სერიოზული მიდგომა?

***– აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს დევნილების სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია მოითხოვს.***

– მათზე ადრეც მითქვამს, რომ ისინი შეკრული არიან ნაციონალურ მოძრაობასთან. მათი წინადადებები არის რუსეთის ინტერესების გახმოვანება. დსთ-ის საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის დელეგაცია ზუსტად ამას მოითხოვდა ჩვენგან.

***– არჩევნების მომხრეები აცხადებენ, რომ დევნილებს არჩევანის უფლება უნდა ჰქონდეთ.***

– დევნილებს ამ უფლებას არავინ ართმევს. ისინი ირჩევენ ქვეყნის პრეზიდენტს, პარლამენტს, ადგილობრივ თვითმმართველობას. მათ შეუძლიათ, თვითონაც იყარონ კენჭი. სანამ სააკაშვილი მოვიდოდა ხელისუფლებაში, მინისტრებს, ასევე სხვა თანამდებობის პირებს მოადგილეებად დევნილები ჰყავდათ. ჩვენ ჩვენი ტელევიზიაც გვქონდა. გვინდოდა, არ დაგვეკარგა ფორმა და ჩვენი გამოცდილება მერე აფხაზეთში გადაგვეტანა.

ნაცმოძრაობამ ეს ყველაფერი მოშალა. ახლა მეორე არხი კვირაში ერთ საათს უთმობს აფხაზეთის ტელევიზიას. პარლამენტში ყოველთვის ვცდილობდით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის აუცილებელი საკითხების გატანას. აფხაზეთის თემატიკა რომ მიაფუჩეჩეს, 1996 წელს შიმშილობის აქცია გამოვაცხადეთ. ამას შედეგი მოჰყვა – პარლამენტმა ფართო დოკუმენტი მიიღო. მასში საუბარია რუსეთის ბაზების გაყვანაზეც და დიპლომატიის გააქტიურებაზეც.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში ლეგიტიმურ სტრუქტურებსაც უნდა მიგვეღო მონაწილეობა. ახლა მოლაპარაკებებში ვერ ვმონაწილეობთ, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოებას სიმართლეს მაინც ვაგებინებთ.

***– აფხაზეთის ომის შესახებ?***

– იმის შესახებ, რაც აფხაზეთში დატრიალდა და რაც ახლა ხდება. ჩემი წიგნი – „აფხაზეთი. პრობლემები და მიზეზები“ ინგლისურ და რუსულ ენებზე გავრცელდება. ამავე ენებზე მალე გამოვა ასევე წიგნი, რომელიც მიმართულია რუსეთის საზოგადოებრიობისადმი. მასში აღწერილია, როგორ არღვევდა რუსეთი შეთანხმებებს 1992 წლიდან.



***– პარტიებმა რატომ წამოსწიეს საარჩევნოდ უმაღლესი საბჭოს არჩევის თემა?***

– ალბათ, დევნილების გულის მოგება უნდათ. ნათელაშვილის ეს იდეები ეწინააღმდეგება სახელმწიფოებრიობას. ალასანიას პარტია, ერთი შეხედვით, უფრო გონივრულ წინადადებას აყენებს, თუმცა მისი განხორციელებაც შეუძლებელია. აფხაზეთში არჩეული გამოკლებული წევრების შემცვლელების არჩევაც არ შეიძლება თბილისში.

# ოქრუაშვილს აპენდიციტმა უმტყუნა, ბასიშვილს – ზონდერჯგუფმა

შორენა მარსაგიშვილი

**ირაკლი ოქრუაშვილს აშკარად ვიღაცის თვალი ეცა. ჯერ იყო და მისი თანაპარტიელი გადააყენეს გორის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტიდან, ახლა კი აპენდიციტმა შემოუტია და საოპერაციო შეიქნა.**

არადა, სანამ თავად წამოწვებოდა საოპერაციო მაგიდაზე, გორელებს დაჰპირდა, მაწანწალა ძაღლების პრობლემას მოგიგვარებთ, ნემსს გავუკეთებთ, მივაძინებთ და დამთავრდება ეგ ამბავიო.

აპენდიციტამდე მას გორის მერმა და პატრიოტთა ალიანსმა შეუტიეს. მერია მას საარჩევნო აგიტაციისთვის გამოყოფილი ფართის სრულ ათვისებაში ადანაშაულებდა, პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელი მამუკა ნოზაძე კი ამტკიცებდა, რომ ოქრუაშვილს ლუდი დაჰქონდა და ამომრჩეველთან ერთად სვამდა.

ლუდს ოქრუაშვილი კარგა ხანს ველარ დალევს და ამომრჩეველთანაც რამდენიმე შეხვედრა გაუცდა.

– აბა ახლა რა დროს აპენდიციტი იყო. 28 შეხვედრა ჩამივარდა, თითოზე საშუალოდ 40 ადამიანი. თან როდის დავდგები ფეხზე... ლუდის დალევაზე აღარაფერს ვამბობ. ძაღლის ბედი გაქვს, როგორც იტყვიან, იოსებ მაკრახიძე, – დაწერა მაჟორიტარობის კანდიდატმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.





მაკრახიძე, რომლის ბედსაც ნაოპერაციები ოქრო შენატრის, „ოცნების“ კანდიდატია.

ოქრუაშვილის მსგავსად, უიღბლო პერიოდი დაუდგა ნაციონალების გორელ ფალავან ბადრი ბასიშვილს. ამ ადამიანს ყველა ზონდერების უფროსად იცნობდა, ახლა კი ის თავად აღმოჩნდა ზონდერების თავდასხმის ობიექტი.

დეპუტატ ირმა ნადირაშვილის ინფორმაციით, ბადრი ბასიშვილს „ქართული ოცნება“ ფიზიკურად გაუსწორდა.

ინციდენტი სოფელ ფლავისმანში მოხდა, სადაც ბადრი ბასიშვილს ამომრჩეველთან შეხვედრის საშუალებას არ აძლევდნენ.

დეპუტატის თქმით, ბადრი ბასიშვილს სოფლის შესასვლელთან 30-მდე ადამიანი დახვდა. ნადირაშვილმა კონკრეტული ადამიანების გვარებიც დაასახელა.

– ხელისუფლებამ ბადრი ბასიშვილს დაახვედრა ზონდერები, კონკრეტულად – მოჭიდავეები და სპორტსკოლის წარმომადგენლები. ამ ყველაფერს კი ხელმძღვანელობდა მალხაზ მეტრეველი. ეს ადამიანი მუშაობს საჯარო სამსახურში და დავალებული აქვს ამ ზონის კონტროლი. მოჭიდავეებისა და სხვა ზონდერების დახმარებით ისინი ცდილობდნენ, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი არ შეეშვათ სოფელში და ადგილი ჰქონდა ფიზიკურ შეხლა-შემოხლასა და სიტყვიერ შეურაცხყოფას, – განაცხადა ირმა ნადირაშვილმა.

მომხდარით ბასიშვილიც აღშფოთებულია, თუმცა პირობას დებს, რომ მას ვერ დააშინებენ.




**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები – ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# სასამართლომ არმაზ ახვლედიანის სარჩელი არ დააკმაყოფილა

ბათუმის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბათუმის №69 ოლქის დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ არმაზ ახვლედიანის შუამდგომლობა ბათუმის საკრებულოს ერთ-ერთი განკარგულების შეჩერების თაობაზე. როგორც არმაზ ახვლედიანი განმარტავს, ის იმ განკარგულების შეჩერებას ითხოვდა, რომლის საფუძველზეც ბათუმში მისი საარჩევნო ბანერი ჩამოხსნეს.

– ბათუმის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა იმ განკარგულების შეჩერების თაობაზე, რომლის საფუძველზეც ჩამოიხსნა ჩემი წინასაარჩევნო ბანერი. გამოსაცდელი ვადით გამწესებულმა მოსამართლე თავართქილაძემ მიიჩნია, რომ აღნიშნული განკარგულება არ მომაყენებს ზიანს და რომ მისი შეჩერების გარეშეც შესაძლებელია ჩემი კანონიერი ინტერესების დაცვა.

მოსამართლე თავართქილაძე ასეთი უკანონო, თავხედური გადაწყვეტილებებით, ცხადია, წარმატებით გაივლის გამოსაცდელ ვადას. ასეთი მოსამართლეების ხელში მართლმსაჯულება „ოცნების“ ჯიბის უწყებად ყალიბდება და ჩაკეტილი, მოჯადოებული წრიდან ვერასდროს გამოვა, – ამბობს არმაზ ახვლედიანი.

მედიანიუსი

# ირმა ჭკადუა: „დამნაშავეთა სამყარომ სახელმწიფოზე გაიმარჯვა“

ქუთაისის კრიმინალური პოლიციის უფროს გიორგი კაჭარავას ადვოკატ ირმა ჭკადუას განცხადებით, მისი კლიენტი თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

როგორც ადვოკატმა ჟურნალისტებს განუცხადა, სამწუხაროა, რომ დამნაშავეთა სამყარომ გაიმარჯვა სახელმწიფოზე და დაკავებულია ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში ებრძვის დამნაშავეთა სამყაროს.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს ჩვენება არ აქვს მიცემული, ის დანაშაულს არ აღიარებს. განჩინებას აუცილებლად გავასაჩივრებთ კანონით დადგენილ ვადაში. იმედს ვიტოვებ, რომ საგამოძიებო ორგანოები ძალიან მალე გაერკვევიან საქმის რეალურ გარემოებებში და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, – განაცხადა ირმა ჭკადუამ.

მეორე დაკავებულის, გამომძიებელ ზურაბ ჭელიძის ადვოკატის თქმით, გასაჩივრების შესახებ გადაწყვეტილებას მისი დაცვის ქვეშ მყოფთან კონსულტაციის შემდეგ მიიღებს.

* * *

ქუთაისის კრიმინალური პოლიციის უფროსსა და ამავე სამსახურის გამომძიებელ ზურაბ ჭელიძეს წინასწარი პატიმრობა გასულ კვირას შეეფარდათ. დაცვის მხარე დაკავებულთა გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას მოითხოვდა,




თუმცა მოსამართლემ გადაწყვეტილების გამოცხადებისას განმარტა, რომ არსებობს მოწმეებზე ზეწოლისა და მტკიცებულებების განადგურების საფრთხე.

გიორგი კაჭარავას პროკურატურა ქრთამის აღებას, ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვას, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-ტარებასა და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვას ედავება.

ზურაბ ჭელიძეს ქრთამის აღება და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ედება ბრალად.

მედიანიუსი



შენი
არჩევანის
უზრუნველყოფა!

არჩევნები 2016
ცესკო
საქართველოს
საარჩევნო
ადმინისტრაცია

# ხანუმ ჯეირანოვას ქმარი პრეზიდენტმა შეიწყალა

საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში გარდაცვლილი 30 წლის ხანუმ ჯეირანოვას მეუღლე, აჯი გასანოვი, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა შეიწყალა.

შეწყალების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძის განცხადებით, აჯი გასანოვის საქმე შეწყალების კომისიას არ განუხილავს და გადაწყვეტილება პრეზიდენტმა საქმის შესწავლის შემდეგ, თვითონ მიიღო.

აჯი გასანოვი პატიმრობიდან უკვე გათავისუფლდა. ის მეუღლის თვითმკვლელობამდე მიყვანაში მხილებული პირების დასჯას კვლავ ითხოვს.

– განცხადება იყო შემოსული შეწყალების თაობაზე, საბუთებიც იყო გამოთხოვილი. კომისიას არ განუხილავს. პრეზიდენტმა იმსჯელა და მიიღო შეწყალების გადაწყვეტილება, მას ამის უფლებამოსილება აქვს, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ზვიად ქორიძემ.

აჯი გასანოვი პატიმრობაში 2015 წლის 15 დეკემბრიდან იმყოფებოდა. პროკურატურამ მას ბრალად დასდო მისივე ნათესავის, აფკან გუსეინოვის განზრახ მკვლელობის მცდელობა.

აჯი გასანოვისა და სხვა პირთა ჩვენებებით, აფკან გუსეინოვი ერთ-ერთი მათგანია ოთხი მამაკაციდან, რომლებმაც 2015 წლის სექტემბერში ხანუმ ჯეირანოვა დაიჭირეს, ქმრის ღალატი დააბრალეს, ფეხსაცმელი, წინდები გახადეს და სოფელ ლამბალოში ჩამოატარეს, „უნამუსოაო“. თვითმხილველების თქმით, ახალგაზრდა მამაკაცები ქალს აგინებდნენ და სცემდნენ კიდეც.

მომხდარიდან 2 დღის შემდეგ ხანუმ ჯეირანოვამ თავი მოიკლა. თვითმკვლელობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო, თუმცა რამდენიმე დღეში შეწყდა. არადა, პოლიციის თანამშრომლებს ჰქონდათ ინფორმაცია ხანუმ ჯეირანოვას მიმართ განხორციელებული დამამცირებელი მოპყრობის შესახებ. უფრო მეტიც, თვითმკვლელობამდე ქალი უსაფრთხოების მიზნით პოლიციელებმა გადაიყვანეს სოფლის გამგებლის მახმუდ ალიევის სახლში, სადაც მან ღამე გაათია. მეორე დღეს კი, ასევე პოლიციელებთან შეთანხმებით, ხანუმ



ჯეირანოვა სახლში დააბრუნეს, იმის მიუხედავად, რომ სიცოცხლის მოსპობის მაღალი რისკი იყო.

– მე მთაში ვიყავი, ცხვარში. ცოლმა დამირეკა, ჩვენმა ნათესავებმა დამიჭირეს და შარი მომდეს, ქუჩაში მატარეს და მცემესო. რომ მოვედი, უკვე მკვდარი იყო. ცოცხალი არ მინახავს. ჩემი ცოლი მათ ქუჩა-ქუჩა არ უნდა ეტარებინათ. მათ ამის უფლება არ ჰქონდათ, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს აჯი გასანოვმა.

იორმუღანლოში დაბრუნების შემდეგ გარდაცვლილის მეუღლემ იმ ოთხი პირის ვინაობა დაასახელა, რომლებიც, მისი თქმით, ჯგუფურად ხანუმ ჯეირანოვას დამამცირებელ მოპყრობაში მონაწილეობდნენ და თვითმკვლელობამდე მიიყვანეს. ესენი არიან: სოფელ ლამბალოში მცხოვრები აივაზ გასანოვი, ნოვრუზ გასანოვი, ელჩინ დეიხანოვი და აფკან გუსეინოვი.

ხანუმ ჯეირანოვას თვითმკვლელობის ფაქტზე პროკურატურამ გამოძიება მას შემდეგ განაახლა, რაც მომხდარით მედია დაინტერესდა.

თვითმკვლელობიდან სამი თვის განმავლობაში გარდაცვლილის მეუღლემ და მშობლებმა არაერთხელ მიმართეს მთავარ პროკურორს, სახალხო დამცველს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. ისინი ზემოთ დასახელებული ოთხი პირის დასჯას ითხოვდნენ.

2014 წლის 14 დეკემბერს აჯი გასანოვი მეუღლის თვითმკვლელობამდე მიყვანაში მხილებულ ერთ-ერთ პირს აფკან გუსეინოვს შეხვდა და განმარტებები მოსთხოვა. გუსეინოვმა ხანუმ ჯეირანოვა და მისი ქმარი უცენზურო სიტყვებით მოიხსენია, რის შემდეგაც აჯი გასანოვმა მას იარაღი ესროლა და ფეხში დაჭრა.

მომხდარის შემდეგ გასანოვი პოლიციას თვითონ ჩაბარდა. პროკურატურამ საქმის გამოძიების ეტაპზე აჯი გასანოვს საპროცესო გარიგების გაფორმება შესთავაზა, თუ წაყენებულ ბრალს აღიარებდა, რაზედაც გასანოვი არ დათანხმდა. მისი თქმით, მიზანი აფკან გუსეინოვის მოკვლა რომ ყოფილიყო, იარაღს ფეხში არ ესროდა.

დედის საჯაროდ შეურაცხყოფის თვითმხილველები არიან ხანუმ ჯეირანოვას 9 და 12 წლის შვილებიც. ისინი სკოლიდან სახლში ბრუნდებოდნენ, როცა ნახეს, რომ მამაკაცები დედას სცემდნენ. თვითმკვლელობამდე მიყვანაში მხილებული ოთხი პირი გარდაცვლილის მცირეწლოვანმა შვილებმაც ამოიცნეს. ოთხივე მათგანი ოჯახის ნათესავია.

ხანუმ ჯეირანოვას თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმე ამ დრომდე არ არის გამოძიებული.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# მარგველაშვილი: „ივანიშვილს ტელევიზიით არ ვუპასუხებ“

## „კვირიკაშვილთან შეიძლება მუშაობა“



დიანა ტრაპაიძის გადაცემაში სტუმრობისას საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მისი და ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლებთან ურთიერთობაზე ისაუბრა.

– მე პოლიტიკოსებთან კი არ ვურთიერთობ, პოლიტიკოსებთან ვმუშაობ, ვურთიერთობ ჩემს მეგობრებთან. მე კვირიკაშვილს სწორედ იმ კონტექსტში ვაქებ, რომ მასთან მუშაობა შემიძლია. მე მასთან სამუშაო ურთიერთობა მაქვს, ჩვენ შეგვიძლია დავსხდეთ, საკითხები გავიაროთ, ვეკამათოთ ერთმანეთს. ეს არის ორ პოლიტიკოსს შორის მუშაობის კონტექსტი.

მე მახარებს, რომ კვირიკაშვილთან სამუშაო ურთიერთობა მაქვს. როდესაც ვინმე არ მომწონს, მას საერთოდ არ ვიხსენიებ, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მან თქვა, რომ პრეზიდენტად ყოფნისას ძალიან ცოტა ადამიანის მიმართ გამოუთქვამს ღიად ნეგატივი და აგრესია.

– მიმაჩნია, რომ ეს სტანდარტი უნდა იყოს, რომ მე არ უნდა შევიდე აგრესიულ დისკუსიაში. პოზიტივის ნაწილში კი დაგეთანხმებით, კვირიკაშვილთან შეიძლება მუშაობა, მე არ შემიფასებია კვირიკაშვილი, როგორც პრემიერი და არ მითქვამს, რომ ან კარგია, ან ცუდია. მე ვაქებ მას, როგორც პოლიტიკოსს, რომელთანაც მუშაობა არის შესაძლებელი. ეს თვისება ქართულ პოლიტიკაში ძალიან ბევრს არ აქვს, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მან ისიც აღნიშნა, რომ მუშაობა შესაძლებელი იყო დავით უსუფაშვილთანაც,

პრეზიდენტი ივანიშვილის იმ სიტყვებსაც გამოეხმაურა, რომელთა მიხედვით, მარგველაშვილი მისი ყველაზე დიდი შეცდომა და იმედგაცრუებაა.

– ძალიან კარგი მცდელობაა, რომ ამალაპარაკოთ, მაგრამ მე ამ თემებს ღია ეთერში არ განვიხილავ, იმიტომ, რომ ეს არ არის პროდუქტიული საზოგადოებისთვის. მე უნდა ვსაუბრობდე პოლიტიკურ პროცესებზე, ღირებულებებზე და არა იმ ჭორაობაზე, რომლისკენაც მუდმივად ქართულ პოლიტიკას ტენდენცია აქვს, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, ეს თემები უნდა განიხილონ იმ ადამიანებმა, რომლებსაც ამის განხილვა უნდათ.

– მე არ ვაპირებ ჩემს პირად გრძნობებზე საუბარს. ამ ადამიანებს, რომლებსაც ჩემთან პიროვნული გასარჩევი აქვთ, ნაწყენია თუ გულაცრუებულია, ამისთვის არსებობს პირადი დიალოგი, არ არის საჭირო ერთმანეთს ტელევიზიით ვესაუბროთ. სამი წელია ამ ვითარებაში ვარ, რომ მუდმივად მიმდინარეობს ჩემზე რაღაცის მოყოლა და დისკრედიტაცია. სამი წელია პასუხი არ გამიცია და დღეს რატომ გაგცემთ? არ მიმაჩნია ეს სწორად, – დასძინა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა.

**ნიუპოსტი**

# სანდრა რულოვსის მხარდამჭერები ხელისუფლებას ზეწოლაში ადანაშაულებენ



ნაციონალური მოძრაობის ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატ სანდრა რულოვსის მხარდამჭერები ადგილობრივ ხელისუფლებას ზეწოლაში ადანაშაულებენ.

განცხადებები ზეწოლასთან დაკავშირებით კახეთში რულოვსისა და ამომრჩევლის შეხვედრაზე გაკეთდა.

შეხვედრის მონაწილეების განცხადებით, სანდრა რულოვსთან შეხვედრის შემთხვევაში მათ ნათესავების სამსახურიდან გაშვებითა და სოფლის მეურნეობის კუთხით სახელმწიფო დახმარებების გარეშე დატოვებით დაემუქრნენ.

ყოფილ პირველი ლედი მოსახლეობის პრობლემებს გაეცნო და მათ პარტიის პროგრამა წარუდგინა.

სანდრა რულოვსის განცხადებით, პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში გაზის და წყლის პრობლემები, ასევე სოციალური საკითხები მოგვარებადია.

**პირველი რადიო**

# ლიბერთი ბანკის ბრენდის დესპანებს ორი წარმატებული ახალგაზრდა შეემატა

15 სექტემბერს ლიბერთი ბანკის სათავო ოფისში ბანკის გენერალურმა დირექტორმა ალექსი ხოროშვილმა პრესას ბრენდის ახალი დესპანები, ნიჩბოსანი ზაზა ნადირაძე და ჩოგბურთელი მარიამ ბოლქვაძე წარუდგინა.

– მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ ლიბერთი ბანკის ახალი დესპანები, გამორჩეული ნიჭითა და მონდომებით დაჯილდოებული ადამიანები, რომლებმაც საერთაშორისო ასპარეზზე არაერთხელ ასახელეს საქართველო.

მარიამ ბოლქვაძე და ზაზა ნადირაძე ჩვენი დესპანების გუნდს შემოუერთდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ განსაკუთრებულად ვიზრუნებთ მათ პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე, ვინაიდან გვსურს, რომ მათი დიდი წარმატებები მაგალითი და სამოტივაციო გზავნილი გახდეს საქართველოში მცხოვრები ყველა ახალგაზრდისთვის, – განაცხადა ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორმა ალექსი ხოროშვილმა.

ამჟამად ლიბერთი ბანკს ბრენდის ხუთი დესპანი ჰყავს. მათ შორის არიან საქართველოს 9-გზის ჩემპიონი, ძიუდოისტი მზია ბებოშვილი, 2-გზის ევროპის ჩემპიონი, მოჭადრაკე ნინო ხომერიკი და ასტროფიზიკოსი ელენე მიდელაშვილი.




ლიბერთი ბანკი მუდმივ მზადყოფნაშია, ნებისმიერ სფეროში, სპორტში, მეცნიერებაში თუ ხელოვნების მიმართულებით, აღმოაჩინოს ახალგაზრდები, რომლებიც დაუღალავად შრომობენ წარმატებისათვის და ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ წინსვლასა და განვითარებაში.

ზაზა ნადირაძე დაიბადა 1993 წლის 2 სექტემბერს ქ.მცხეთაში. 2006 წელს აქტიურად დაიწყო ნიჩბოსნობაში ვარჯიში და 2007 წელს, 15 წლამდე ასაკთა ჯგუფში მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა.

2008 წელს საქართველოს ჩემპიონატზე როგორც ერთ, ისე ორადგილიან კანოეში მოიპოვა ოქროს მედალი.

2011 მეორედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული.

2012 წელს, მესამედ მოპოვებული საქართველოს ჩემპიონობის გარდა, ზაზამ უკრაინის საერთაშორისო ჩემპიონატის მესამე ადგილი მოიპოვა.

2013 წელს მოიგო სომხეთისა და აზერბაიჯანის საერთაშორისო ჩემპიონატი, მოიგო საქართველოს ჩემპიონობა აბსოლუტურ ასაკში და აბსოლუტურ ასაკში მსოფლიო ჩემპიონატზე მე-14 ადგილი მოიპოვა.

2014 წელს აიღო ბაქოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზია. ამავე წელს მსოფლიო ჩემპიონატზე 23 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

2015 წელს ბაქოს თამაშებში მე-10 ადგილი, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატში მე-4 ადგილი დაიკავა.

2016 წელს ზაზამ ევროპის სალიცენზიო ჩემპიონატზე მეორე ადგილით აიღო რიოს ლიცენზია, მსოფლიო თასის ჩემპიონატზე – მესამე ადგილი, №23 ჩემპიონატზე – მესამე ადგილი, ხოლო რიოს ოლიმპიადაზე მე-5 ადგილი მოიპოვა.

მარიამ ბოლქვაძე დაიბადა 1998 წლის 1 იანვარს, ქ.ბათუმში. 8 წლის ასაკში გადაწყვიტა ჩოგბურთის თამაში. 9 წლიდან ინტენსიური ვარჯიშისა და მომზადების შემდეგ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება დაიწყო და უკვე 12 წლის ორგზის ჩემპიონი იყო 16 წლამდე ასაკთა ჯგუფში. 14 წლის, საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი 18 წლამდე ასაკთა ჯგუფში და ევროპის 50-ეულში იდგა.

16 წლიდან მარიამმა დაიწყო ქალთა საერთაშორისო შეჯიბრებების თამაში და მისი ამჟამინდელი რეიტინგია №443 ერთეულებში, ხოლო №597 წყვილებში.

2016 წელს მონაწილეობა მიიღო Junior Wimbledon-ში, სადაც გახდა ფინალისტი წყვილებში ხოლო ერთეულებში მერვედფინალისტი.

სულ მარიამს სამი 10.000-იანი შეჯიბრება აქვს მოგებული, მათგან 2 ეგვიპტეში, ხოლო 1 ბათუმში. ეგვიპტის ტურნირის ფინალში მან Wimbledon-ის ჩემპიონი დაამარცხა.

ასევე ინგლისის ნაციონალურ ტურნირში დამარცხებული ჰყავს ამჟამინდელი 100-ეულის მოთამაშე Naomy Broady, ამავე წელს ითამაშა ფედერაციის თასი საქართველოს სახელით, სადაც მოგების 100%-იანი შედეგი აჩვენა.

# „გლდანის ციხე მუზეუმად უნდა გადაკეთდეს“

გულიკო ბალაძე

**გუშინ, 18 სექტემბერს, ყოფილმა პოლიტპატიმრებმა და უკანონო პატიმრებმა ვახტანგ მაისაიამ, ალექსანდრე ახალკაცმა და მამუკა ტუსკაძემ გლდანის ციხესთან აქცია გამართეს, რომელიც 2012 წელს ციხეში პატიმართა წამების კადრების გავრცელებას მიეძღვნა.**




ვახტანგ მაისაია

აქციის ორგანიზატორები გამოვიდნენ ინიციატივით, გლდანის ციხე მუზეუმად გადაკეთდეს.

– დღეს 18 სექტემბერია. 4 წელი გავიდა სწორედ იმ დღიდან, როდესაც გამოქვეყნდა ციხეში პატიმრების წამების შემზარავი კადრები. 18 სექტემბერს სიმართლეს ფარად აეხადა. ირმა ინაშვილისა და სხვა ადამიანების დამსახურებით მოხდა სააკაშვილის რეჟიმის ლუსტრაცია, – განაცხადა მამუკა ტუსკაძემ.

აქციაზე ვახტანგ მაისაიამ კიდევ ერთი ინიციატივა გააჟღერა პოლკოვნიკ სერგო თეთრაძისთვის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

– ამ ციხეში აწამებდნენ და ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი იყო პოლკოვნიკი სერგო თეთრაძე. ის იყო საქართველო-რუსეთის ომის მონაწილე, დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაში. მივმართავ პრეზიდენტსა და პრემიერს, სერგო თეთრაძეს მიენიჭოს (სიკვდილის შემდეგ) ეროვნული გმირის წოდება. ჩვენ პატივს მივაგებთ იმ ადამიანებს, რომლებიც დაიღუპნენ რეპრესიების დროს, – განაცხადა ვახტანგ მაისაიამ.

***– ბატონო ვახტანგ, თქვენც გლდანის ციხეში იმყოფებოდით და გაიარეთ ის რეჟიმი, რომელიც იქ სუფევდა?***

– დიახ. „ჰეროკრატიაში“ რამდენიმე ეპიზოდში ჩემი წამებაა ასახული. ამ ფილმს დიდი წვლილი შეაქვს ტირანიის საბოლოოდ დამარცხებაში.

***– ციხის კადრები რომ გავრცელდა, სად იმყოფებოდით?***

– რუსთავის მე-17 დაწესებულებაში, სადაც პოლიტპატიმრების ორგანიზაცია და საკუთარი საკანიც გვქონდა.

***– საკუთარი საკანი?***

– დიახ, ეს იყო პოლიტპატიმრების საკანი, სადაც 4 ადამიანი ვიხდიდით სასჯელს. იქ ადმინისტრაცია ცხვირს ვერ ყოფდა.

***– საკანში თქვენთან ერთად ვინ ისხდნენ?***

– მე, მელორ ვაჩნაძე, ლევან გოგიჩაიშვილი და თემურ ჟორჟოლიანი. ჩვენ გვქონდა წინააღმდეგობის მოძრაობა, იატაკქვეშა ორგანიზაცია „საქართველოს პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებების დაცვისთვის“ და ვმუშაობდით. როგორც კი ეს კადრები მოვიპოვეთ, მიუხედავად იმისა, რომ საღამოს გაითიშა შუქი და ტელევიზიები, ჩვენ ჩავართვევინეთ ტელევიზია და მთელმა დაწესებულებამ იხილა ციხეში პატიმრების წამების კადრები.

***– თვითონ თანამშრომლები რას ამბობდნენ?***

– ზოგიერთი აღშფოთებული იყო, დირექტორი და მისი მოადგილეები კი რამდენიმე დღეში გაიქცნენ. მერე პატრული და სპეცრაზმი შემოვიდა და მათ დაიწყეს ციხეების გაკონტროლება. მახსოვს, საკუთარი ფეხით მოვიდნენ მაშინდელი ომბუდსმენი და სასჯელაღსრულების მინისტრად გადაბარგებული და




მამუკა ტუსკაძე

ლუსტრირებული ტუღუში.

ჩვენ ტუღუში გავაგდეთ და საპროტესტო აქცია დავიწყეთ.

***– რასთან დაკავშირებით?***

– 1 ოქტომბრის მხარდასაჭერად. 30 კაცი ჩავედით კარცერში. მაშინ დაგვემუქრნენ, თუ 1 ოქტომბერს ნაცმოძრაობა გაიმარჯვებდა, კარცერიდან ცოცხლებს არ ამოგვიყვანდნენ. ამაზე პროკურატურას ჩვენებაც მივეცით და საქმე აღიძრა. უშუალოდ მელორ ვაჩნაძის მიმართ განხორციელდა ფიზიკური ზემოქმედება. იმ კადრების შემდეგაც ბედავდა რეჟიმი მუქარას და დიდ გულზე იყო.

***– თქვენი ციხის იატაკქვეშა ორგანიზაციას სხვა პატიმრები არ შემოუერთდნენ?***

– სხვა პატიმრებიც შემოუერთდნენ და სხვადასხვა დაწესებულებაში გვყავდა წარმომადგენლები. მაგალითად, ტუბზონაში ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენელი მამუკა ტუსკაძე იყო. იქ ახორციელებდა იატაკქვეშა ბრძოლას უსამართლო რეჟიმის წინააღმდეგ.



# მაგთიმ და დისქავერის არხმა სერიალ „ჰარლი და ძმები დევიდსონების“ პრემიერა გამართეს

18 სექტემბრიდან „დისქავერის“ არხზე დაიწყო სერიალის „ჰარლი და ძმები დევიდსონების“ ჩვენება, 17 სექტემბერს კი „მაგთიკომმა“ და „დისქავერმა“ 1-ლი სერიის დახურული ჩვენება სასტუმრო „რუმს თბილისში“ მოწვეული სტუმრებისთვის გამართეს. იმავე დღეს თბილისის ქუჩებში საზეიმოდ ჩაიარა ჩოპერების კოლონამ.

სერიალი „ჰარლი და ძმები დევიდსონები“ რეალური ისტორიის მხატვრული გაცოცხლებაა. მისმა გმირებმა საერთაშორისოდ აღიარებული ბრენდი შექმნეს, რომელთაც გულშემატკივართა მთელი არმია გააჩნიათ. მათ მიერ შექმნილი კომპანიები დღესაც წარმატებით აგრძელებენ საქმიანობას და ახალ-ახალ ბაზრებს იპყრობენ.

სერიალში მონაწილეობენ პოპულარული მსახიობები ისეთი ცნობილი სერიალებიდან, როგორებიცაა: „სამეფო კარის თამაშები“, „კასლი“ და სხვა.

ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს მიშელ ჰიუსმანი. მას მაყურებელი კარგად იცნობს სერიალიდან „სამეფო კარის თამაშები“, სადაც იგი დაარიო ნაჰარისის როლის თამაშობს. გარდა ამისა, სერიალში მონაწილეობენ ცნობილი მსახიობები რობერტ არანაიო და ბაგ ჰოლი.



ყველაფერი 1903 წელს დაიწყო, როდესაც 20 წლის გამომგონებლებმა ამერიკის შტატ მილოუკიში მუშაობა ველოსიპედის მოტორიზაციაზე დაიწყეს. პირველად შექმნის იდეა უილიამ ჰარლეისა და არტურ დევიდსონს მოუვიდათ, ხოლო შემდეგ საქმეში არტურის ძმები – უოლტერი და უილიამი ჩაერთვნენ. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ჰარლეი და ძმები დევიდსონები მოტოციკლების ერთადერთი პირველმწარმოებლები იყვნენ – იმხანად აშში მოტოციკლების სხვა მწარმოებელი კომპანიებიც არსებობდა. ერთ-ერთი მათგანი, „ინდიანა“, 1901 წელს იყო დაარსებული და „ჰარლეი-დევიდსონის“ უმთავრესი კონკურენტი გახლდათ დასაბამიდან.

„ჰარლი-დევიდსონი“ არა მხოლოდ მოტოციკლია, არამედ ცხოვრების სტილი და კულტურის მიმართულება, ხოლო ზოგიერთებისათვის – თითქმის რელიგია.

მიშელ ჰიუსმანი საქმიან კოსტიუმში გამოეწყო და ართურ დევიდსონის ძმის უოლტერ დევიდსონის როლშია, რომელიც კომპანიის პირველი დირექტორი გახდა.

თავად ართურის როლს ბაგ ჰოლი თამაშობს, რომელსაც მრავალრიცხოვანი როლები აქვს შესრულებული ისეთ პოპულარულ სერიალებში, როგორებიცაა „რევოლუცია“, „კასლი“, „დანაშაულის ადგილი“, „იფიქრე, როგორც დამნაშავე იფიქრებდა“ და სხვა.

უილიამ ჰარლი, რომელიც დაარსების დღიდან სიკვდილამდე კომპანიის მთავარი კონსტრუქტორი იყო, ეკრანზე განასახიერა რობერტ არმაიომ. მაყურებელმა ახალგაზრდა მსახიობი ფილმ „ღამის ცხოველების“ შემდეგ შეიყვარა, სადაც იგი ისეთ ვარსკვლავებთან ერთად იხილა, როგორებიც ჯეიკ ჯილენჰოლი და ემი ადამსი არიან.

დისქავერის დაკვეთით სერიალის გადაღებაზე მუშაობდა ცნობილი ბრიტანული პროდიუსერული კომპანია „რავ ტელევიჟენი“.

სერიალი „ჰარლი და ძმები დევიდსონები“ ყოველ კვირა დღეს, 00:00 საათზე გავა დისქავერის არხზე.









## ინგლისი ევროპის გაერთიანებული არმიის წინააღმდეგია

ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა მაიკლ ფელონმა განაცხადა,




რომ ევროპის გაერთიანებული არმიის შექმნის კატეგორიული წინააღმდეგია.

ფელონმა ხაზი გაუსვა იმას, რომ არსებობს ნატო, შესაბამისად, ახალი სტრუქტურის შექმნა აუცილებლობას არ წარმოადგენს.

– ჩვენ დავბლოკავთ ევროპის გაერთიანებული არმიის შექმნისკენ მიმართულ ყველა მცდელობას, – თქვა ფელონმა.

## აფეთქება მანჰეტენზე

ნიუ იორკში, მანჰეტენზე, აფეთქება მოხდა. ასაფეთქებელი მოწყობილობა ნაგვის კონტეინერში იყო ჩამონტაჟებული.



დაშავებულია 35 ადამიანი, თუმცა სერიოზული ჭრილობები არცერთ მათგანს არ აღენიშნება.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# აშშ ყირიმში რუსეთის პარლამენტის არჩევნებს არ ცნობს



გუშინ, 18 სექტემბერს, ყირიმში რუსეთის დუმის არჩევნები ჩატარდა.

უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ დასავლეთს მოუწოდა, არჩევნები არ ცნოს. პოროშენკომ განაცხადა, რომ ყირიმი რუსეთის მიერაა ანექსირებული, შესაბამისად, მის ტერიტორიაზე რაიმე არჩევნების ჩატარება უკანონოა.

ყირიმში დაგეგმილი არჩევნების კანონიერების შესახებ შეკითხვა გერმანიის საგარეო მინისტრ შტაინმაიერსა და მის ფრანგ კოლეგა ეროსაც დაუსვეს. ორივეს უარყოფითი რეაქცია ჰქონდა. ისინი ასევე აღშფოთდნენ იმით, რომ ყირიმის ძირძველი მოსახლეობის, ყირიმელი თათრების, უფლებები ილახება.

– რასაკვირველია, ყირიმში არჩევნების ჩატარებას უარყოფითად ვაფასებ, – თქვა შტაინმაიერმა, თუმცა პასუხს კითხვაზე, ცნობთ თუ არა ამ არჩევნების უკანონობასო, თავი აარიდა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიცია კი კონკრეტულია. აშშ-მ მიიღო გადაწყვეტილება, ყირიმში რუსეთის პარლამენტის არჩევნები უკანონოდ ცნოს. იმავდროულად, აშშ-ის ახალმა ელჩმა უკრაინაში იოვანოვიჩმა განაცხადა, რომ ყირიმი უკრაინას აუცილებლად დაუბრუნდება.

– ბუნებრივია, ეს უცებ არ მოხდება. უკრაინელებს მოვუწოდებ, გამოიჩინონ მოთმინება და დისციპლინა, – თქვა ელჩმა.

იოვანოვიჩმა ყურადღება ბალტიისპირეთის მაგალითზე გაამახვილა. წლების განმავლობაში აშშ ამ ქვეყნების სსრკ-ის შემადგენლობაში შესვლის კანონიერებას არ ცნობდა. შედეგად, დადგა დრო, როცა ლატვიამ, ლიტვამ და ესტონეთმა დამოუკიდებლობა დაიბრუნეს. დღეს ისინი ნატოსა და ევროკავშირის წევრები არიან:

– უკრაინის შემთხვევაშიც ასე მოხდება, – განაცხადა ელჩმა.

## კიევში რუსეთის საელჩოს პეტარდები დაუშინეს



უცნობმა პირებმა კიევში რუსეთის საელჩოს პეტარდები დაუშინეს. თავდამსხმელთა ჯგუფი 20 კაცისგან შედგებოდა.

პარალელურად ხარკოვში, რუსეთის საკონსულოსთან, საპროტესტო აქცია გაიმართა. ის უკრაინის ვეტერანთა კავშირის მიერ იყო ორგანიზებული. აქციის მონაწილეებმა დაგმეს რუსეთის დუმის არჩევნები უკრაინის ტერიტორიაზე მდებარე საელჩოსა და საკონსულოებში.

უკრაინის პრემიერ-მინისტმა გროისმანმა რუსეთის საელჩოზე თავდასხმას ხულიგნობა უწოდა. ამავე დროს, მან განაცხადა, რომ ამის გამო კომენტარების გაკეთება, უბრალოდ, არ ღირს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მომხდართან დაკავშირებით განაცხადა:

– ჩვენ ამ საკითხს ვსწავლობთ. ჩვენს საელჩოზე თავდასხმას საკადრისი რეაქცია მოჰყვება!

გუშინ, 18 სექტემბერს, კიევში რუსეთის საელჩოსთან დემონსტრანტებსა და პოლიციის თანამშრომლებს შორის დაპირისპირება მოხდა. არიან დაშავებულები.

ნაციონალისტური ორგანიზაცია „თავისუფლების“ წევრები დიპლომატიური დაწესებულების ბლოკირებას ცდილობდნენ, რათა ხმის მიცემის მსურველი რუსეთის მოქალაქეებისთვის შიგნით შესვლის საშუალება არ მიეცათ.

აქტივისტებმა პუტინის გამოსახულების ფიტულიც მიიტანეს და სკანდირებდნენ: „დიდება უკრაინას“. პოლიციის თანამშრომლები საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენას ცდილობდნენ.

მიტინგის მონაწილეები რუსეთის მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე მოუწოდებდნენ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

*კალეიდოსკოპი*

## ტერეზა მეის ქუსლიან ფეხსაცმელებზე უარის თქმას ურჩევენ



დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ტერეზა მეის ურჩიეს, უარი თქვას ქუსლიანი ფეხსაცმელების ჩაცმაზე.

ბრიტანეთის კონგრესის ტრედ-იუნიონების კონფერენციამ ბრაიტონში მხარი დაუჭირა ახალ კანონს, რომელიც კრძალავს ქალების იძულებას, სამსახურში მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ატარონ და მეის მოუწოდა, მხარი დაუჭიროს ამ ინიციატივას.

აღნიშნული კამპანია მას შემდეგ დაიწყო, რაც ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი აუდიტორული კომპანიის ოფისში თანამშრომელი ნიკოლ ტორპი სამსახურიდან სახლში ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე იმის გამო გაუშვეს, რომ მან უარი თქვა ქუსლიანი ფეხსაცმელების ჩაცმაზე. პეტიციას, რომელიც სახელისუფლებო გამოძიებისა და პარლამენტში დებატებისკენ მოწოდებას წარმოადგენს, 145 ათასმა ადამიანმა მოაწერა ხელი.

– როდესაც ტერეზა მეი კონსერვატორების ლიდერი და პრემიერ-მინისტრი გახდა, მოველოდი, რომ მისი პოლიტიკის მიმოხილვას, პრიორიტეტებსა და ბრექსის მიმართ დამოკიდებულებაზე სტატიებს წავიკითხავდი, – განაცხადა პენი რობინსონმა ტრედ-იუნიონიდან, – ამის ნაცვლად გაზეთების უმრავლესობა ყურადღებას ფეხსაცმელების მიმართ მის სიყვარულზე აკეთებს.

რობინსონის თქმით, მეის შესაძლოა კარგად იცნობდნენ მისი საფირმო სტილის გამო, მაგრამ, თუ მას მართლაც სურს, დაეხმაროს მომუშავე ქალებს, შეუძლია მათ მაგალითი მისცეს და ოფიციალურ ღონისძიებებზე უქუსლო, სასიარულოდ გაცილებით მოსახერხებელი ფეხსაცმელებით მივიდეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ექიმიპროფესიონალივმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოების, პროსტატის ყველა ფორმის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ აპარატსა და სქესობრივი კონტაქტის დასამყარებელ „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავისმკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# დინამო ისევ ვერ იგებს, ტორპედომ პირველად იხეირა

საქართველოს ჩემპიონატის მე-8 ტური 5 მატჩით დაიწყო. ტურში რამდენიმე საინტერესო მატჩი იყო და მოულოდნელი შედეგებიც დაფიქსირდა.

### თეთრი ჯგუფი

**ლოკომოტივი-დინამო (თბ) 0:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ჩიტეიშვილი, გეთიაშვილი, კლიმიაშვილი, ჩაგელიშვილი (ფოფხაძე 69), კუხიანიძე, დიასამიძე, ხიდეშელი, ქიქავა (ზარანდია 46), გაბაძე, ვაწაძე (ცხადაძე 75)

**დინამო:** ლომაია, ლობჟანიძე, რენე (ჭელიძე 76), ამისულაშვილი, ველევი, ცინცაძე, პარუნაშვილი, ჭანტურიშვილი, პაპუნაშვილი, ჯილაური, დვალიშვილი (მიქელთაძე 87)

დედაქალაქურ დერბიში ყველა დინამოს მოგებას ვარაუდობდა, მაგრამ ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა ზედიზედ მე-2 ტურია მოგება ვერ მოახერხა. ეს დიდწილად ლოკომოტიველთა მეკარის რევაზ თევდორაძის დამსახურებაა.

დებიუტში გუნდებმა თითო სახიფათო შეტევა გაცვალეს, ხოლო მატჩის მე-16 წუთზე დინამომ რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა – სტეფან ველევის ჩაწოდების შემდეგ ახლო მანძილიდან ჯაბა ჯილაური თავით ურტყამდა, მაგრამ თევდორაძემ არ გაატანინა.

35-ე წუთზე მასპინძლები კიდევ ერთხელ გადარჩნენ გაშვებულ გოლს და ისევ ლოკომოტივის კიპერმა ითამაშა კარგად. ლადო დვალიშვილი მარცხენა ფრთიდან გაიჭრა, ჩააწოდა საჯარიმოში, ჯილაური ერთი შეხებით ცდილობდა გატანას...

საერთო ჯამში, პირველი ტაიმი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. დინამოელები ფლობდნენ ტერიტორიულ უპირატესობას, რომელიც მეორე ტაიმში განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა.

შესვენების შემდეგ ისევ ჯილაურმა გაისროლა საჯარიმოს მისადგომიდან – მეკარე ბურთს ბოლო წამს შესწვდა. 70-ე წუთზე უკვე დინამო გადარჩა, როდესაც რენე სანტოსმა განმუხტა სიტუაცია.

თევდორაძემ კი ერთხელაც გადაარჩინა გუნდი ლაშა პარუნაშვილის დარტყმის შემდეგ, მატჩის ბოლოს კი ჯილაურმა და მათე ცინცაძემ კარის ჩარჩოში ვერ მოახვედრეს და შეხვედრაც 0:0 დასრულდა.



**ტორპედო-ცხინვალი 3:1**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

0:1 კახელიშვილი (6), 1;1 ტუღუში (41) 2:1 გურული (66), 3:1 კაპანაძე (70)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, გურული, ჭიჭინაძე, ქიმაძე, მამასახლისი, ფალავანდიშვილი, დოლიძე, ბაბუნაშვილი (საღრიშვილი,73), ტუღუში (ენდელაძე, 76), კვერნაძე (კაპანაძე,57)

**ცხინვალი:** ნადირაძე, მაისაშვილი, მახარობლიძე, ქარდავა, სულთანიშვილი (შინდაგორიძე 19), ცერცვაძე, კაჭკაჭიშვილი, ბაჩიაშვილი, ქოჩლაძე (გაბრიჩიძე, 72), კახელიშვილი (მაქაცარია 81), დვალი

ტორპედოს აქამდე მოგება არ ჰქონდა და პირველი გამარჯვებაც საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ ახალი მწვრთნელის, კახა ჩხეტიანის ხელში იზეიმა.

არადა, მატჩის დასაწყისი რიონისპირელებს კარგს არაფერს უქადდა. ცხინვალელებმა, ყოველგვარი რიდის გარეშე, აქტიურად იბურთავეს საწყის წუთებში და ზედიზედ შეუქმნეს პრობლემები მეტოქეს. პირველი საგოლე მომენტი მასპინძელთა კართან მე-5 წუთზე შეიქმნა, როცა ლაშა ქოჩლაძის დარტყმის შემდეგ როინ კვასხვაძეს მოგერიებაში ხარიხა შეეშველა. მაგრამ ამ ეპიზოდიდან ერთ წუთში ტორპედოელები მაინც აღმოჩნდნენ მდევრის როლში, დაცვის ცენტრში დაშვებული შეცდომით გიორგი კახელიშვილმა ისარგებლა და საგოლედ დაარტყა კარში...

„ცივი შხაპის" შემდეგ მასპინძლებს დაბნეულობა არ დასტყობიათ და თანდათან სათამაშო უპირატესობა მათ ხელში გადავიდა. ტორპედოელებმა დიდი ძალებით შეუტიეს და თავიდან შორეული დარტყმებით ცადეს ბედი, თუმცა გუგა ფალავანდიშვილმა და გიორგი გურულმა მიზანს ვერ მიაღწიეს.

35-ე წუთზე ცხინვალის კართან მორიგი სახიფათო ეპიზოდი შეიქმნა – გრიგოლ დოლიძემ ახლოდან დაარტყა კარის გასწვრივ, ერთ-ერთმა ცხინვალელმა საკუთარი კარისკენ ჩაჭრა ბურთი, რომელიც მისმა თანაგუნდელმა კარის ხაზზე შეაჩერა.

შესვენებამდე ტორპედოელთა შეტევებმა მაინც გამოიღო ნაყოფი. ბექა ტუღუშმა შორიდან გაისროლა და მეკარემ ველარ შეძლო ბურთის მოგერიება.

მე-2 ტაიმში მასპინძლები აშკარა უპირატესობას ფლობდნენ. ისინი გამუდმებით უტევდნენ მეტოქეს და საგოლე მომენტებსაც მრავლად ქმნიდნენ. 58-ე წუთზე დოლიძის მიერ მახვილი კუთხიდან დარტყმული მცირედით ასცდა მიზანს. ორ წუთში სწრაფი მახვილგონივრული კომბინაციის შემდეგ ფალავანდიშვილმა ეფექტური ძლიერი დარტყმა განახორციელა, ოღონდ ხარიხას გადააცილა.

ტორპედოელები 66-ე წუთზე დაწინაურდნენ. კვასხვაძემ სწრაფად, ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი მეტოქის ნახევრისკენ, გურულმა შანსით ისარგებლა და ოსტატურად თავზე გადაატარა ბურთი წინ გამოსულ მეკარეს. მალევე გიორგი ქიმაძის პასით თორნიკე კაპანაძემაც გამოიჩინა თავი, ახლოდან გაუტანა ნადირაძეს – 3:1.

ეს ანგარიში უცვლელი დარჩა, თუმცა ტორპედოელებს უფრო სოლიდური სხვაობითაც შეეძლოთ მოგება. შოთა ბაბუნაშვილი, დოლიძე (ორჯერ), კაპანაძე იყვნენ მიზანთან ახლო, თუმცა მათ იღბალმა უმტყუნა. სტუმრებს რაც შეეხება, გატანის ერთი შესაძლებლობა მათაც მიეცათ, მაგრამ ჯაბა დვალის სახიფათოდ დარტყმული კვასხვაძემ მოიგერია.

ტორპედომ ჩემპიონატში ნანატრი გამარჯვება მოიპოვა.

**ჩიხურა-გურია 1:2**

**ივანწმინდა. ცენტრალური**

0:1, 0:2 მურაშოვი (16პ, 33), 1:2 ლობჟანიძე (83)

**ჩიხურა:** სეფიაშვილი, კაშია, რეხვიაშვილი, თორნიკე გრიგალაშვილი, განუგრავა, დობროვოლსკი (გვალია 46), დეკანოიძე (გაბედავა 52), ლექვთაძე (ტატანაშვილი 68), კორიფაძე, ს.ლობჟანიძე, ივანიშვილი

**გურია:** იმერლიშვილი, მეგრელიშვილი, ჭეიშვილი (კაბორე 75), ჩადუნელი, ნოზაძე, მოროზენკო, კირკიტაძე (თევზაძე 90), ჭეჭელაშვილი, ჭედია, დინიზი (იმნაძე 45), მურაშოვი

ჯგუფის ლიდერისგან ყველა მოგებას ელოდა, მაგრამ გურულებმა გამოაჩინეს კლანჭები და შინ 3 ქულით გაბრუნდნენ.

ლანჩხუთელთა მოგება დიდწილად მათი ლეგიონერის ევგენი მურაშოვის დამსახურებაა, რომელმაც პირველ ტაიმში დუბლი შეასრულა. საჩხერელებმა მხოლოდ მატჩის მიწურულს მოახერხეს ერთი გოლის გატანა, მეტისთვის დრო არ ეყოთ...

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 5 | 3 | 1 | 1 | 10-5 | 10 |
| დინამო თბ | 5 | 2 | 3 | 0 | 8-3 | 9 |
| ლოკომოტივი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-5 | 8 |
| გურია | 6 | 2 | 2 | 2 | 5-7 | 8 |
| ტორპედო | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 |
| ცხინვალი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-10 | 4 |
| შუქურა | 5 | 0 | 3 | 2 | 3-7 | 3 |

### წითელი ჯგუფი

**დილა-სამტრედია 1:2**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

1:0 გამცემლიძე (61), 1:1 არაბული (79), 1:2 მანჯგალაძე (87)

**დილა:** მუჯირიშვილი, სალუქვაძე, გავაშელიშვილი, კვახაძე, ღონღაძე, ეტოუ, სამხარაძე, ცაწკრიალაშვილი (მიზრაჩი 63), წიქარიძე, გამცემლიძე (გელაშვილი 84), მოდებაძე

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, გოგიაშვილი, სანდოხაძე, მჭედლიშვილი, შერგელაშვილი, დათუნაიშვილი, მარკოზაშვილი (ცნობილაძე 63), რაჟამაშვილი (ჯიქია 76), მანჯგალაძე, არაბული (მთივლიშვილი 90), ზივზივაძე

წითელი ჯგუფის ცენტრალური მატჩი გორში შედგა. „თენგიზ ბურჯანაძეზე" დილამ სამტრედიას უმასპინძლა და დრამატულ შეხვედრაში 1:2 დამარცხდა.

ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, 61-ე წუთზე შორეული დარტყმით მეტოქის კარი ალეკო გამცემლიძემ აიღო. ეს ახალგაზრდა ფეხბურთელის უკვე მე-3 გოლია მიმდინარე ჩემპიონატში.

ერთია, გორელებმა უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და დარჩენილ დროში საკუთარ კარში ორი ბურთი მიიღეს. 79-ე წუთზე ბაჩანა არაბულმა ანგარიში გაათანაბრა, 87-ე წუთზე კი, გიული მანჯგალაძემ სამტრედიელებს 3 ქულა მოუტანა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## შედეგები

### 17 სექტემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჰალი-არსენალი ............ 1:4
ლესტერი-ბარნლი ............ 3:0
სიტი-ბორნმუთი ............ 4:0
ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი ............ 4:2
ევერტონი-მიდლსბრო ............ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 5 | 5 | 0 | 0 | 15-4 | 15 |
| 2.ევერტონი | 5 | 4 | 1 | 0 | 10-3 | 13 |
| 3.არსენალი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-7 | 10 |
| 4.ჩელსი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-6 | 10 |
| 5.ლივერპული | 5 | 3 | 1 | 1 | 11-8 | 10 |
| 6.მანჩესტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| 7.ტოტენჰემი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-2 | 8 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| 9.ლესტერი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 10.ჰალი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-7 | 7 |
| 11.მიდლსბრო | 5 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 5 |
| 12.უოტფორდი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-8 | 4 |
| 13.კრ.პალასი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 14.სუონსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 15.ბარნლი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-8 | 4 |
| 16.ბორნმუთი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-9 | 4 |
| 17.ვესტ ჰემი | 5 | 1 | 0 | 4 | 7-13 | 3 |
| 18.საუთჰემპტონი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |
| 19.სანდერლენდი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |
| 20.სტოკი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-10 | 1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

კარდიფი-ლიდსი ............ 0:2
ბარნსლი-რედინგი ............ 1:2
ბლექბერნი-როტერჰემი ............ 4:2
ბრენტფორდი-პრესტონი ............ 5:0
ბრისტოლი-დერბი ............ 1:1
ბარტონი-ბრაიტონი ............ 0:1
ჰადერსფილდი-ქპრ ............ 2:1
იფსვიჩი-ასტონ ვილა ............ 0:0
ნიუკასლი-ვულვზი ............ 0:2
ნოტინგემი-ნორვიჩი ............ 1:2
უიგანი-ფულემი ............ 0:0
ბირმინგემი-უენსდი ............ 2:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლეგანესი-ბარსელონა ............ 1:5
ატლეტიკო-ხიხონი ............ 5:0
ეიბარი-სევილია ............ 1:1
ლას პალმასი-მალაგა ............ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 4 | 3 | 0 | 1 | 13-5 | 9 |
| 2.რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-3 | 9 |
| 3.ლას პალმასი | 4 | 3 | 0 | 1 | 11-5 | 9 |
| 4.ატლეტიკო | 4 | 2 | 2 | 0 | 10-1 | 8 |
| 5.სევილია | 4 | 2 | 2 | 0 | 9-6 | 8 |
| 6.ეიბარი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 7.ხიხონი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-7 | 7 |
| 8.ვილიარეალი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 5 |
| 9.ალავესი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 10.ბეტისი | 4 | 1 | 2 | 1 | 7-10 | 5 |
| 11.დეპორტივო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 12.სოსიედადი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 13.ლეგანესი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| 14.ბილბაო | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 15.ესპანიოლი | 3 | 0 | 2 | 1 | 7-9 | 2 |
| 16.მალაგა | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |
| 17.გრანადა | 4 | 0 | 2 | 2 | 5-10 | 2 |
| 18.ოსასუნა | 3 | 0 | 1 | 2 | 3-8 | 1 |
| 19.ვალენსია | 3 | 0 | 0 | 3 | 4-8 | 0 |
| 20.სელტა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

სარაგოსა-ალკორკონი ............ 2:0
კორდობა-ლევანტე ............ 1:0
ელჩე-ლუგო ............ 0:3
რეუსი-კადისი ............ 1:0
ვალიადოლიდი-მურსია ............ 0:1
ნუმანსია-ხიმნასტიკი ............ 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-ინგოლშტადტი ............ 3:1
დორტმუნდი-დარმშტადტი ............ 6:0
ჰამბურგი-ლაიპციგი ............ 0:4
ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი ............ 0:0
აინტრახტი-ლევერკუზენი ............ 2:1
გლადბახი-ვერდერი ............ 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 11-1 | 9 |
| 2.ლაიპციგი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-2 | 7 |
| 3.კიოლნი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| 4.დორტმუნდი | 3 | 2 | 0 | 1 | 8-2 | 6 |
| 5.ჰერტა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 6.გლადბახი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-5 | 6 |
| 7.აინტრახტი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 8.ვოლფსბურგი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-0 | 5 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 3 | 0 | 3 | 0 | 6-6 | 3 |
| 10.ლევერკუზენი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-5 | 3 |
| 11.აუგსბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 12.ფრაიბურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| 13.დარმშტადტი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-8 | 3 |
| 14.მაინცი | 2 | 0 | 1 | 1 | 5-6 | 1 |
| 15.ინგოლშტადტი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |
| 16.ჰამბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-8 | 1 |
| 17.შალკე | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 18.ვერდერი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-12 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-ზანდჰაუზენი ............ 2:1
ჰაიდენჰაიმი-ფორტუნა ............ 2:0
კაიზერი-შტუტგარტი ............ 0:1

**იტალია. სერია ა**

ლაციო-პესკარა ............ 3:0
ნაპოლი-ბოლონია ............ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 4 | 3 | 1 | 0 | 12-5 | 10 |
| 2.იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 |
| 3.რომა | 3 | 2 | 1 | 0 | 9-4 | 7 |
| 4.ლაციო | 4 | 2 | 1 | 1 | 8-5 | 7 |
| 5.ჯენოა | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 6.სამპდორია | 4 | 2 | 0 | 2 | 5-5 | 6 |
| 7.მილანი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-7 | 6 |
| 8.უდინეზე | 3 | 2 | 0 | 1 | 3-4 | 6 |
| 9.ბოლონია | 4 | 2 | 0 | 2 | 5-9 | 6 |
| 10.კიევო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 11.პესკარა | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 4 |
| 12.ინტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 13.ტორინო | 3 | 1 | 0 | 2 | 8-6 | 3 |
| 14.ფიორენტინა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 15.ატალანტა | 3 | 1 | 0 | 2 | 6-7 | 3 |
| 16.ემპოლი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 17.სასუოლო | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| 18.კალიარი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |
| 19.პალერმო | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 20.კროტონე | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |

**სერია ბ**

ვერონა-აველინო ............ 3:1
ლატინა-ბენევენტო ............ 1:1
პერუჯა-ტერნანა ............ 1:1
პიზა-ბრეშა ............ 1:0
სპალი-ენტელა ............ 2:2
სპეცია-პრო ვერჩელი ............ 2:1
ტრაპანი-ასკოლი ............ 1:1
ჩიტადელა-ნოვარა ............ 3:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მონაკო-რენი ............ 3:0
ნანსი-ნანტი ............ 1:1
ლორიანი-ლილი ............ 1:0
ბორდო-ანჟე ............ 0:1
დიჟონი-მეცი ............ 0:0
ტულუზა-გენგამი ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 5 | 4 | 1 | 0 | 13-4 | 13 |
| 2.პსჟ | 5 | 3 | 1 | 1 | 12-4 | 10 |
| 3.მეცი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-5 | 10 |
| 4.ნიცა | 4 | 3 | 1 | 0 | 6-3 | 10 |
| 5.ბორდო | 5 | 3 | 0 | 2 | 8-8 | 9 |
| 6.ტულუზა | 5 | 2 | 2 | 1 | 7-4 | 8 |
| 7.გენგამი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| 8.რენი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| 9.ლიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 8-7 | 6 |
| 10.ბასტია | 4 | 2 | 0 | 2 | 5-4 | 6 |
| 11.ანჟე | 5 | 2 | 0 | 3 | 4-5 | 6 |
| 12.კაენი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-12 | 6 |
| 13.სტ.ეტიენი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| 14.მონპელიე | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 15.მარსელი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-5 | 4 |
| 16.დიჟონი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-7 | 4 |
| 17.ლილი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-9 | 4 |
| 18.ნანტი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-6 | 4 |
| 19.ნანსი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-8 | 4 |
| 20.ლორიანი | 5 | 1 | 0 | 4 | 3-10 | 3 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ბრესტი-ოსერი ............ 1:0

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ტილბურგი-ექსელსიორი ............ 1:1
როდა-ჰერენვენი ............ 0:3
ვიტესი-იგლზი ............ 2:0
ტვენტე-დენ ჰააგი ............ 4:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ეშტორილი-მორეირენშე ............ 2:0
სეტუბალი-ფერეირა ............ 1:4
გიმარაეში-ბელენენსეში ............ 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტომი-არსენალი ............ 1:0
ურალი-ანჟი ............ 0:1
ლოკომოტივი-უფა ............ 0:1
ტერეკი-ამკარი ............ 1:3

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმანროკი-პარტიკი ............ 2:2
მოზერველი-ჰამილტონი ............ 4:2
რეინჯერსი-როსი ............ 0:0
სტ.ჯონსონი-ჰართსი ............ 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რიდი-ალტახი ............ 2:1
ადმირა-შტურმი ............ 0:3
ვოლფსბერგერი-სტ.პოლენი ............ 1:1

**ბელგია. 1 დივიზიონი**

ბრიუგე-ეუპენი ............ 3:2
ვესტერლო-მუსკრონი ............ 1:3
სტ.ტრუიდენი-ბევერენი ............ 4:1
ვარეგემი-კორტრაიკი ............ 2:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ქსანთი-პანიონიოსი ............ 0:2
პლატანიასი-ლევადიაკოსი ............ 3:2
ვერია-აეკი ............ 0:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანთალია-ტრაბზონი ............ 3:0
გალათასარაი-რიზე ............ 2:0

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

დუკლა-ბოჰეიანსი 1905 ............ 4:1
ბრნო-ჰრადეც კრალოვე ............ 1:1
ბოლესლავი-სლოვაცკო ............ 3:0
პრჟიბრჟამი-ტეპლიცე ............ 3:2
იიჰლავა-იაბლონეცი ............ 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლენჩნა-კორონა ............ 4:0
პლოცკი-პოგონი ............ 2:0
ვისლა-პიასტი ............ 1:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

სტალი-ოლიმპიკი ............ 2:3
კარპატი-ჩერნომორეცი ............ 0:0
დნიპრო-ზვეზდა ............ 0:1

**დანია. სუპერლიგა**

სილკებორგი-ორხუსი ............ 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

კალმარი-ესტერსუნდი ............ 2:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ტრომსო-ლილესტრიომი ............ 2:1
ვიკინგი-მიოლდე ............ 1:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

სეინეოკი-მარიეჰამნი ............ 1:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმიმოქცევების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## გაყიდვაში გამოვიდა ქალის მაღვიძარა-ვიბრატორი

ერთ-ერთმა ბრიტანულმა კომპანიამ წარმოადგინა მაღვიძარა-ვიბრატორი. ეს ინფორმაცია გამოცემა დეილი მეილის იუთუბი-არხზეა განთავსებული.



როგორც გამოცემა აღნიშნავს, გაჯეტი ქალებისთვისაა შექმნილი. ის ღამით ტრუსში თავსდება. მოწყობილობა, რომელშიც 30 ვიბრაციული რეჟიმია გათვალისწინებული, მის მფლობელს მზარდი ვიბრაციით აღვიძებს.

მაღვიძარა-ვიბრატორის ფასი, რომელიც ორი ფერის – თეთრი და ვარდისფერია გამოშვებული, 90 დოლარს შეადგენს.

– სექსუალურად გაიღვიძე, – მოუწოდებს ამ სიახლის სარეკლამო კამპანიის სლოგანი.

გამოცემისვე ინფორმაციით, ამ სიახლის მიწოდება აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში უფასოა, ხოლო სხვა ქვეყნების მცხოვრებთ, რომლებიც მის შეძენას მოისურვებენ, დაახლოებით ცხრა დოლარის დამატება მოუწევთ.

კომპანიაში განაცხადეს, რომ უახლოეს მომავალში ანალოგიურ სიახლეს მამაკაცებისთვისაც გამოუშვებენ.

## კონექტიკუტში მამული 175 მილიონად იყიდება

– ამერიკის კონექტიკუტის შტატში 175 მილიონ დოლარად იყიდება მამული, – იუწყება უოლ სტრიტ ჯურნალი. აღსანიშნავია, რომ გრეიტ-აილენდი 100 წლის განმავლობაში პირველად იქნა გამოტანილი გასაყიდად.



ექსპერტების თქმით, თუ მამულის გაყიდვა ასეთ მაღალ ფასად მართლაც მოხდება, მაშინ შესაძლოა დამყარდეს რეკორდი, როგორც აშშ-ში ყველაზე ძვირადღირებული უძრავი ქონება. ამ მომენტისთვის რეკორდი ეკუთვნის სახლს ნიუ იორკში, რომელიც 2014 წელს 147 მილიონ დოლარად გაიყიდა.

გრეიტ-აილენდი ლონგ-აილენდის სრუტეში მდებარეობს, დაახლოებით 80 კილომეტრში ნიუ იორკიდან. ის 1900-იანი წლების დასაწყისში აშენდა. მთავარი შენობა ექვსი საძინებლისგან შედგება. ასევე არის ნაგებობები სტუმრებისა და მოსამსახურეებისთვის. ტერიტორიას აქვს საკუთარი ჩაკეტილი პლაჟი, დოკი და საჯინიბო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 19 სექტემბრისთვის



**ვერძი** – ყოველგვარი მნიშვნელოვანი საქმის მოგვარება სხვა დროისათვის გადადეთ. ეგოიზმი და ექსცენტრულობა გავნებთ. **კურო** – კარგი იქნება, თუ სპორტით დაკავდებით. კონტაქტები ახლობლებთან სასიკეთოდ წაგადგებათ. ნუ გარისკავთ. **ტყუპები** – მძიმე დღეა, განსაკუთრებით – მამაკაცებისათვის. კოლეგებთან და საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა გეძაბებათ. **კირჩხიბი** – თქვენს ცხოვრებაში დიდი ცვლილებები იწყება. პლანეტები გმფარველობენ. **ლომი** – ყურადღების ცენტრში ხართ. შესაფერისი პერიოდია კომერციული საქმიანობისათვის. **ქალწული** – ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. პირად ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები შეინიშნება. **სასწორი** – ემოციებს ნებაზე ნუ მიუშვებთ. ხმაურიან თავყრილობებს ერიდეთ. საკუთარი მოქმედება და საუბარი აკონტროლეთ. **ღრიანკალი** – ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. გელით ჰარმონია და ოჯახური კეთილდღეობა. **მშვილდოსანი** – საქმიანი შეხვედრებით უკმაყოფილო დარჩებით. ახალგაცნობილი ადამიანების ჩართვა თქვენს საქმიანობაში სასიკეთოდ წარიმართება. **თხის რქა** – ძველი საქმეების დასამთავრებლად მშვენიერი დღეა. თქვენს აქტიურობას სათანადოდ დააფასებენ. **მერწყული** – მძიმე და პასიური დღეა. ახალი პროექტების განხორციელება გაგიჭირდებათ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **თევზები** – ცვლილებები ნებისმიერ სფეროში აუცილებელია. ეს ეხება ახალი კადრების შერჩევასაც. ოქროს შუალედი დაიცავით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## მონიკ ლიულიე მოდის ბიზნესში მოღვაწეობის 20 წელს აღნიშნავს

ლოსანჯელესელი დიზაინერი მონიკ ლიულიე მოდის ბიზნესში თავისი მოღვაწეობის 20 წლისთავს აღნიშნავს. თავისი ახალი გაზაფხულის კოლექციის შექმნისკენ სწორედ საკუთარმა წარსულმა უბიძგა.



– გადავწყვიტე, ყველაფერი არქივების გადახედვით დამეწყო, – განაცხადა ლიულიემ და დაამატა, რომ საინტერესო იყო იმის გაგება, თუ ყველაზე მეტად რა ჰპოვებს გამოხმაურებას ადამიანების გულებში, როდესაც ისინი მასზე ფიქრობენ. დიზაინერის თქმით, წარსულში მოგზაურობა ჭეშმარიტად ნოსტალგიური და პირადული აღმოჩნდა. ახალ კოლექციაზე საუბრისას ლიულიემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მასში ყველა მის საფირმო ელემენტებს შეხვდებით.

ასევე დიზაინერმა აღნიშნა, რომ მისი ცხოვრება მხოლოდ მოდის სამყარო არ არის.

– მე შემიძლია, უკან დავბრუნდე, არ ვიჩქარო და, ამავდროულად, სიამოვნება მივიღო იმ ყოველივესგან, რასაც ვაკეთებ, – განმარტა ლიულიემ და იქვე აღნიშნა, რომ ის კმაყოფილია იმით, რომ თავის საყვარელ საქმეს ლოსანჯელესში აკეთებს.

## ჯიგურდამ წვერი მოიპარსა

ნიკიტა ჯიგუ?დამ წვერი მოიპარსა და სურათი ტვიტერში გამოაქვეყნა. აღსანიშნავია, რომ ულვაშები და წვერი დიდი ხანია მსახიობის სახის ჩვეულებრივ ელემენტებად აღიქმებოდა.

– ბოლო დროს მსახიობს გაჭაღარავება დაეწყო და მისი წვერი სულ უფრო მეტად ემსგავსებოდა რუსული ლიტერატურის კლასიკოს ლევ ტოლსტოის წვერს. 55 წლის მსახიობი კეთილი სახის მოხუცს ემსგავსებოდა და თავის ასაკთან შედარებით გაცილებით ხნიერად გამოიყურებოდა, – დაწერა ერთ-ერთმა რუსულმა გამოცემამ.



– როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ჯიგუ?დამ, წვერსა და ულვაშებს დამშვიდობებოდა, – ვარაუდობს გამოცემა, რომლის აზრითაც, შოუმენი ახლა უკვე 20 წლით გაახალგაზრდავებულად გამოიყურება.

ნიკიტა ჯიგუ?და უკრაინელი და რუსი მსახიობი და მომღერალია. ფილმებში გადაღება 1980-იან წლებში დაიწყო, ხოლო 1990-იანი წლებიდან რეჟისორობას მიჰყო ხელი. ის მუშაობდა ფილმზე „სუპერმენი უნებურად ანუ ეროტი-?ული მუტანტი“, რომელშიც მთავარი როლი თავად შეასრულა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

### სპორტი

## დინამო ისევ ვერ იგებს, ტორპედომ პირველად იხეირა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

**დინამო (ბთ)-სიონი 0:0**

**ქობულეთი. ჩელე არენა**

**დინამო:** ტიმაფეევი, სუხიაშვილი, ტვილდიანი, გოგიტიძე, კვირკველია, თარხნიშვილი, თევდორაძე (კვანტალიანი 46), შონია, ქავთარაძე, მარიანოვიჩი (ლობჯანიძე 65), ფონიავა (გეგეჭკორი 72)

**სიონი:** დაუშვილი, ფოფხაძე, კასრაძე, თოთაძე, გაფრინდაშვილი, ხურცილავა, ძარია, ჯანელიძე, ვოლკოვი (სიხარულიძე 56), კობახიძე (გიორბელიძე 75), სუშკინი (უგულავა 88)

ბოლნისის სიონი მეორე თამაშია წარმატებას აღწევს. ზედიზედ 4 წაგების შემდეგ ზუგდიდთან მოიგეს, ახლა სტუმრად, ლიდერთან ქულა აიღეს.

მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ უშეცდომოდ ითამაშეს მეკარეებმა და მატჩიც უგოლოდ დასრულდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 5 | 3 | 2 | 0 | 11-5 | 11 |
| დინამო ბთ | 5 | 3 | 2 | 0 | 11-2 | 11 |
| კოლხეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 4-7 | 9 |
| საბურთალო | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| დილა | 5 | 2 | 0 | 3 | 9-9 | 6 |
| სიონი | 6 | 1 | 1 | 4 | 7-11 | 4 |
| ზუგდიდი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-11 | 0 |

## საქართველომ მონტენეგროს პირველობა არ დაუთმო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თანაც ისე, რომ მეტოქეს მონაგარი არ შეავსებინეს.

დიდებულად ითამაშა მაიკლ დიქსონმა, რომელმაც 36 წუთში 31 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი შესძინა გუნდს. ნატურალიზებული ამერიკელი სწორედ მაშინ იხვეჭდა ქულებს, როდესაც ყველაზე ძალიან გვჭირდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი თამაში პერიმეტრიდან – დიქსონმა 10-დან 7 სამქულიანი ჩააგდო. პლუს 8-დან რვავე საჯარიმო ზუსტად ესროლა.

ბრწყინვალე იყო ზაზა ფაჩულია: კაპიტანმა 33 წუთში 21 ქულითა და 13 მოხსნით ორმაგი დუბლი გაიფორმა. გარდა ამისა, თანაგუნდელებსაც აქცევდა ყურადღებას და 5 შედეგიანი პასიც შეასრულა.

ათქულიან ზღვარს სანიკიძე (14ქ, 7მ) და გიორგი ცინცაძეც ასცდნენ (13ქ, 7პ).

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 6 | 5 | 1 | 524:402 | 11 |
| 2.მონტენეგრო | 6 | 5 | 1 | 563:420 | 11 |
| 3.სლოვაკეთი | 6 | 1 | 5 | 392:518 | 7 |
| 4.ალბანეთი | 6 | 1 | 5 | 372:511 | 7 |

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## უნიტაზში გაჭედილი ჩინელი მეხანძრეებმა გადაარჩინეს

ჩინეთის პროვინცია გუანდუნში მცხოვრები, რომელიც უნიტაზში ჩავარდნილი მობილური ტელეფონის ამოღებას ცდილობდა და გაიჭედა, ადგილობრივი მეხანძრეების გადასარჩენი გახდა.

როგორც თავად მამაკაცმა განაცხადა (მისი ვინაობა უცნობია), მას ღამის ორ საათზე გაეღვიძა და საპირფარეშოში შევიდა, მაგრამ ძილბურანში მყოფს ტელეფონი ხელიდან გაუვარდა. ის შეეცადა, მობილური თავად ამოეღო, მაგრამ ხელი გაეჭედა. როდესაც მიხვდა, რომ დამოუკიდებლად თავის დაღწევას ველარ შეძლებდა, მშველელს დაუწყო მოხმობა, თუმცა მისი ყვირილის ხმა მხოლოდ ერთმა მეზობელმა გაიგო და ისიც გამთენიისას.



შემთხვევის ადგილზე მისული მაშველები იძულებულნი გახდნენ, უნიტაზი გაეტეხათ, რათა მამაკაცის ხელი გაეთავისუფლებინათ.

ჩინელი მეხანძრეების თქმით, მათ სულ უფრო ხშირად უწევთ უნიტაზებში გაჭედილი ადამიანებისთვის დახმარების გაწევა, რომლებსაც შიგნით საგნები უვარდებათ და მათ იქიდან ამოღებას თავადვე ცდილობენ. ისინი მოსახლეობას ურჩევენ, ამის გაკეთება თავად არ ცადონ და დახმარებისთვის პროფესიონალებს მიმართონ. მათ ასევე აღნიშნეს და მოქალაქეები გააფრთხილეს, რომ სანტექნიკური მოწყობილობის განსაკუთრებული აგებულების გამო მასში ხელის ჩაყოფა უფრო ადვილია, ვიდრე შემდეგ იქიდან მისი ამოღება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სკანვორდი



1. მძარცველი, ყაჩაღი; 2. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 3. ... ჯიგარხანიანი; 4. სუსტი არაყი; 5. კარის საკეტი; 6. მაია ასათიანის ტელეშოუ; 7. ... ვალონე; 8. ხორციანი კორკოტი; 9. ბატონო (პოლონურად); 10. ... გაბენი; 11. ბიბლიური პერსონაჟი; 12. კოსმეტიკური კრემი; 13. ქუსლიანი დიდი ჯამი; 14. მარგარიტა ... (მსახიობი); 15. მგოსანი; 16. მეფე ლირის ასული; 17. ვირტუოზული საფორტეპიანო პიესა; 18. ვისიმე ოფიციალური მიღება მაღალი თანამდებობის პირის მიერ; 19. წინასწარი ზომების მიღება რისამე თავიდან ასაცილებლად; 20. იგივეა, რაც ამანათრბენი; 21. ხიდისებური ნაგებობა ხეობაზე ან მშრალ ხევზე; 22. დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 23. გეომეტრიული სხეული; 24. სამკარედი სარკე; 25. სიგრძის ფრანგული საზომი ერთეული (ძვ.); 26. ჭადრაკის ფიგურა; 27. ანძებზე დამაგრებული საიალქნე ძელი; 28. იტალიური ფიჭვი; 29. საესტრადო ცეკვა სხეულის უხამსი მიხვრა-მოხვრით.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სუში; 2. ფუქსი; 3. სმალტა; 5. აბული; 6. ბუდეშური; 8. გრენლანდია; 10. ევკომია; 12. მოდერნი; 14. ბასტრი; 15. ბიზონი; 16. ურანი.

**თარაზულად:** 1. სტროფი; 4. დათვები; 7. ჩაქურა; 9. ტუნისი; 11. მეეზოვე; 12. მსტოვარი; 13. ბოლიდი; 17. კვარცი; 18. იდეა; 19. ინფანტინო; 20. ტარიბანა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ინფანტერია; 2. კარეტა; 3. კარცერი; 4. კიევო; 5. დედვეიტი; 6. აიეტი; 7. იავნანა; 9. ჩიბუხი; 13. საბზა; 17. ვიში; 18. აბე.

**თარაზულად:** 1. იამაიკა; 3. კასიკი; 8. ჰედირა; 10. პეტიცია; 11. უნაბი; 12. პორტერი; 14. ვეფხვი; 15. ფრიმანი; 16. ტყვია; 19. აბზაცი; 20. კაბალიე; 21. დრაივი.

## ვაჟა-ფშაველას მუზეუმში გამოფენა გაიხსნება



20 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟა-ფშაველას მემორიალურ მუზეუმში გამოფენა „ვაჟა-ფშაველა ქართულ ხელოვნებაში“ გაიხსნება.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება საქართველოს ხელოვნების სასახლეში დაცული ლადო გუდიაშვილის, ვალერიან სიდამონ-ერისთავის, ივანე ასკურავას, მამია მალაზონიასა და სხვების მიერ შესრულებული ნამუშევრები, ესკიზები და აფიშები.

## ახმეტელის თეატრი აზერბაიჯანში მიიწვიეს

ახმეტელის თეატრი აზერბაიჯანის უძველეს და ისტორიულ ქალაქ შეკში მიიწვიეს. შეკი პატარა და ანტიკური ქალაქია საინგილოსთან, საქართველოს მსგავსი რელიეფით.



24 სექტემბრის ჩათვლით შეკში საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი გაიმართება, სადაც ახმეტელის თეატრი სპექტაკლ „სტუმარ-მასპინძელს“ ითამაშებს. ქართველი მსახიობები ეროვნულ მოტივებზე აგებულ, თანამედროვე თეატრალური ფორმებით აგებულ დრამას შეკის სახელმწიფო დრამატულ თეატრში წარადგენენ.

## სამგლოვიარო განცხადებები

### შალვა (კუსუნა) კვარაცხელიას ხსოვნას!



ჩვენო კუსუნა, 27 წლის მანძილზე შენს ოჯახში სინათლე, ბედნიერება და სიხარული შემოგქონდა და უცებ... გარდაისახე, შენი ლამაზი სული ზეციურ სასუფეველში დაავანე, იქ ყოფნა ამჯობინე; თან გაიყოლე მშობლების, ახლობლების, მეგობრების, მეზობლების გაუსაძლისი ტკივილი და სევდა.

ძალიან გვიჭირს შენზე წარსულში საუბარი, მაგრამ ყველაფერი უფლის ნებაა. შენმა ბავშვობამ, სიყრმემ ჩვენ წინ ჩაირბინა. დიდი გულის პატრონი, მშობლების უდიდეს სიყვარულს ატარებდი. მუდამ ძიებაში იყავი, შენი საქმე გიყვარდა და აკი, მცირე დროის მანძილზე, სამსახურშიც დიდი სიყვარული დაიმსახურე, მაგრამ ზეციური საუფლო ამჯობინე და ყველას გული დაგვწყვიტე.

ჩვენო საყვარელო ბიჭო, ნათელში ყოფილიყოს შენი ლამაზი სული!

*ია ჭოჭუა, ქეთინო კარანაძე, რუსუდან სვანიძე, ინგა ქობალია*

### ზაალ გელენავას მონატრება!



საყვარელო ზაალ, ორმოცი ცრემლიანი და ტკივილიანი დღე გავიდა, რაც სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლა შენმა სპეტაკმა სულმა. ცხოვრებაში არაფერი გეშლებოდა, ყველას უყვარდი. საუბედუროდ, ნაადრევად დააკლდი შენს დედ-მამას, ცოლშვილსა და ახლობლებს. დრო არ გავა ისე, რომ ნუნუ, ელა, მეგი, ქრისტი სასაფლაოზე არ ავიდნენ და ასევე ახლობლები. განგებამ ისე გაგწირა, რომ გაზეთის ფურცლებიდან გეფერებით მარადიულ სასუფეველში. ხშირად მოვალთ შენს საფლავთან, მოვეფერებით მიწას და დაგინთებთ წმინდა სანთლებს. იქნებ ასე შევიმსუბუქოთ ის ტკივილი, რომელსაც უშენობა ჰქვია.

*შენი ბიძა დაზმირ გელენავა*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## სესილია თაყაიშვილის დაბადების დღე ბებიების დღედ უნდა გამოცხადდეს



17 სექტემბერს ქართული თეატრისა და კინოს ერთ-ერთი გამორჩეული მსახიობის სესილია თაყაიშვილის დაბადებიდან 110 წელი შესრულდა. თარიღი მსახიობის ერთგულმა გულშემატკივრებმა არ დაივიწყეს და ახალი ინიციატივითაც გამოვიდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ სესილია თაყაიშვილმა თეატრსა და კინოში არაერთი როლი ითამაშა, ქართველ საზოგადოებას გამორჩეულად მაინც მისი ოლღა ბებია უყვარს ფილმიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ამ როლის შესრულების გამო სესილია თაყაიშვილს საქართველოს ბებია დაარქვეს.

სოციალურ ქსელში გავრცელდა ინიციატივა, რომელიც სესილია თაყაიშვილის დაბადების დღის, 17 სექტემბრის ბებიების დღედ გამოცხადებას გულისხმობს:

– საქართველოს ბ ე ბ ი ა... 110 წლის გახდებოდა. გელა კურტანიძემ დაწერა, დღევანდელი დღე ბებიების დღედ გამოცხადდესო. ვუერთდები... ნათელი მის სულს...

ამ ინიციატივას სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, თუმცა, რამდენად რეალურია 17 სექტემბრის ბებიების დღედ გამოცხადება, ამ ეტაპზე უცნობია.

## მერაბ ბერძენიშვილი თურქეთში გარდაიცვალა



მოქანდაკე, ფერმწერი და გრაფიკოსი მერაბ ბერძენიშვილი 87 წლის ასაკში თურქეთში გარდაიცვალა. ხელოვანი ბოლო პერიოდში ავად იყო. ის სამკურნალოდ თურქეთში წაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მერაბ ბერძენიშვილს თურქეთიდან ორშაბათს ჩამოასვენებენ. საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი უკვე გამოეხმაურა მოქანდაკის გარდაცვალებას და განაცხადა, რომ ყველა ხარჯს სახელმწიფო დაფარავს:

– დიდ მწუხარებას გამოვთქვამ სახელგანთქმული მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის გარდაცვალების გამო. მემკვიდრეობა, რომელიც მერაბ ბერძენიშვილმა დატოვა, ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა. მის მიერ შექმნილი მონუმენტური ქანდაკებები საუკეთესოდ ასახავს ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ქართველი კაცის ბუნებას, ჩვენს უმთავრეს ღირებულებებს. სამძიმარს ვუცხადებ ბატონი მერაბის ოჯახს, ახლობლებს, მთელ საქართველოს. მერაბ ბერძენიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით შექმნილია სახელმწიფო კომისია და დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

## ნოდარ ტაბიძე გარდაიცვალა



86 წლის ასაკში გალაკტიონ ტაბიძის ძმისშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მწერალი და პუბლიცისტი ნოდარ ტაბიძე გარდაიცვალა.

ნოდარ ტაბიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანად წლების განმავლობაში მუშაობდა. დიდია მისი წვლილი გალაკტიონ ტაბიძის მუზეუმის განვითარებაში, სადაც მთავარი კონსულტანტი გახლდათ.

ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის ნოდარ ტაბიძე დაჯილდოებული იყო სხვადასხვა პრემიით, მათ შორის, გალაკტიონ ტაბიძისა და ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიებით.

ნოდარ ტაბიძემ სიცოცხლეში ბიძის, პოეტ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ არაერთი წიგნი მოამზადა და გამოაქვეყნა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

### ბეტმენის კოსტიუმი აუქციონზე გაიყიდება



აუქციონზეა გამოტანილი ბეტმენის ცნობილი კოსტიუმი ფილმიდან „შავი რაინდი: ლეგენდის აღორძინება“, ასევე სხვა ჰოლივუდური ბუტაფორიები. აუქციონი 27 სექტემბერს ლონდონში გაიმართება, მანამდე კი უფასო რამდენიმედღიანი გამოფენა მოეწყობა.

კოსტიუმი, რომელიც ფილმში კრისტიან ბეილის ეცვა, შესაძლოა 60 ათას ფუნტად გაიყიდოს. ასევე გასაყიდადაა გამოტანილი მოტოციკლეტი ბეტპოდი იმავე ფილმიდან. მისი სავარაუდო ღირებულება 80 ათას ფუნტს შეადგენს.

ლოტებს შორისაა ასევე პილოტის მუზარადი ფილმიდან „ვარსკვლავური ომები: მე-4 ეპიზოდი. ახალი იმედი“, ჰოგვარდსში მიღების შესახებ წერილი ფილმიდან „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“.

ვარაუდობენ, რომ აუქციონი 1,5 მილიონი ფუნტის მოგებას მოიტანს.

### კიმ კარდაშიანის მორიგი შიშველი სელფი



ამერიკელმა ტელევარსკვლავმა კიმ კარდაშიანმა თავისი სამი ახალი სელფი გამოაქვეყნა, რომლებშიც დედიშობილაა გადაღებული. ფოტოსურათები და ვიდეოჩანაწერი ტელევარსკვლავმა საკუთარ აკაუნტში გამოაქვეყნა.

ამგვარად, 35 წლის კარდაშიანმა საკუთარი გვერდის ხელმომწერთ უჩვენა, თუ როგორ გაირუჯა მთელი სხეული. სურათები მაიამის ერთ-ერთ სასტუმროშია გადაღებული. სურათებზე, რომლებზეც ტელევარსკვლავი სრულიად შიშველია, მას მკერდზე ხელი აქვს აფარებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

### ოთხშაბათი 19 სექტემბერი

06.10, 14.10 ტ/სერ. "**ადვოკატები**" 07.10 დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. ცნობიერებით მანიპულირება" (პარ.გ/ჩ) 08.00, 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 08.10 ან/სერ "მადაგასკარის პინგვინები" 08.40 "ტელემანი" 09.00 "დილის მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" 12.20 მხ/ფ "**ჯადოქარი**" 14.50 დოკ/სერ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" 15.35 "ეკიპაჟი" 16.30 "ეკონომეტრი" 17.00 დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. ავიაკატასტროფა" 20.00 მოამბემოამბის სტუმარი 21.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 22.30 გადაცემა "x სტუდია" 23.30 მხ/ფ "**მარიამი-შოტლანდიელთა დედოფალი**" (ვ. რედგრეივი) 01.40 მხ/ფ "**ათოვდა კედრებს**" (ი.ჰოუკი)

08.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" 09.00 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 10.00 დ/ფ "კლიტ ისტვუდი-მოხალისე მსროლელი" 11.30 დ/ფ "დიდი ხელოვნება" 12.00 ტ/სერ "**ცოდვა და სირცხვილი**" 13.00 ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00, 20.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ქვეყანა ბავშვების გარეშე" 18.00, 21.00 "არჩევნები 2016" 20.00 "მოამბე" 22.00, 01.00 ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

05.30 სერ. "**ბამბის ველი**" 06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" 11.20 სერ. "**სიყვარულის ჟამი**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ფიცი**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 პოლიტიკური თოქ შოუ 00.00 მხ/ფ "**გატაცებული**" 02.00 მხ/ფ "**ოლიმპოს დაცემა**" 03.55 მხ/ფ "**გაქცევა**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 06.45 სერ. "**გაბრიელა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**დედოფლის სევდა**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 16.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 18.50 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 19.55, 20.05 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 22.00 არჩევანი - 2016 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00 სერ. "**გრეის ანატომია**" 12.00 შეხვედრები რეგიონულ მედიასთან 13.30, 2.50 სერ. "**ძვლები**" 14.30 ცოლები და ქმრები 15.00 გვიანი შუადღე 17.00 სერ. "**მსახიობი მამა**" 17.30 აირჩიე კაბა რენდისთან ერთად 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 22.30 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 23.30 სერ. "**ჰეროკრატია**" 0.30 მხ/ფ "**შოტლანდიის უკანასკნელი მეფე**"

06.15 ივერიის ეკლესია "ქართველთა ეთნოგენეზისის შესახებ" 06.35 პატერიკი-მაკარი დიდი 06.45 ქართული ალბომი "დიდი დეკანოზის შთამომავლობა" 07.20 ჩვენი საგანძური "ბექა და ბეშქენ ოპიზარების შემოქმედება" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**მოიტაცეს თამარ ქალი**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "ორქიდეა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 ერთხელ ბავშვობაში 16.00 დ/ფ "ველური ბუნება" 17.00 სპექტაკლი "**მტრედის მოტანილი ბარათები**" III 17.25 საყმაწვილო ენციკლოპედია 18.05 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" IV ს. 20.40 ძილი ნებისა "ბულბული" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 პატერიკინეტარი პიმენი 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.25 საქართველოს სამართლის ისტორია 22.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.45 ქვიშანი დარჩებიან "ვახტანგ გორგასალი" 00.25 "ტალანტები და თაყვანისმცემლები" 01.00 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**ტატიანა**" 10.05 სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 11.05 სერ. "**ვერონიკა**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.00, 14.05, 1.00 სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.05, 17.05 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.35 სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" 19.05 სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.55 სერ. "**ცხოვრება რომელიც არ ყოფილა**" 21.40 "ღამის კონტაქტი" 23.10 სერ. "**ესკობარი**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


19 სექტემბრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3111

ევრო — 2.5940

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0428

100 რუსული რუბლი — 3.5561

## ამინდის პროგნოზი 19 სექტემბრისთვის





## 13 სექტემბრიდან

# პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი

ვიქტორ ჰიუგო




მთელი რომანი ერთ წიგნში!

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



## 15 სექტემბრიდან

# საბავშვო ვეფხისტყაოსანი

სკოლამდელებისა და სკოლის მოსწავლეებისათვის

წიგნი გაფორმებულია XVI-XVII საუკუნეებში მცხოვრები უცნობი მხატვრისა და მამუკა თავაქარაშვილის მიერ შესრულებული ფერადი ნახატებით.




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




## იუმორი

ახალი რუსი შვეიცარიის ბანკში შედის და კლერკს ეუბნება:

– მინდა, თქვენს ბანკში ანგარიში გავხსნა და ფული შემოვიტანო.

– რამდენის შემოტანას აპირებთ?

– სამი მილიონის, – ჩურჩულით ეუბნება ახალი რუსი.

– შეგიძლიათ, ხმამაღლა ილაპარაკოთ, ჩვენთან სიღარიბე სამარცხვინო არ არის.

●●●

კაცს ნაცნობი მღვდელი ესტუმრა და ხედავს, რომ მასპინძელი ავადაა, ლოგინში წევს, გვერდით პატარა მაგიდაზე კი არყიანი ბოთლი უდგას.

– ნუთუ ესაა შენი უკანასკნელი იმედი, შვილო ჩემო?

– არა, მამაო, მაცივარში მეორე ბოთლიც მაქვს.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს უყვება:

– გუშინ მაგარი ზანგის გოგო გავიცანი, ფეხები ყურებიდან ეწყებოდა, სასწაული ფიგურა, სახე – საოცრება.

– მერე?

– მივიყვანე სახლში, დავლიეთ შამპანური, ვიცეკვეთ, ვაკოცე...

– მერე?

– მერე სინათლე ჩავაქრე...

– მერე, მერე?

– ველარ ვიპოვე...

●●●

ორი მთვრალი რუსი. ერთი გუბეში ზის, მეორე ფეხზე ძლივს დგას და ღობეს ეყუდება. ფეხზე მდგომი ეკითხება:

– შენ მე პატივს მცემ?

გუბეში მჯდომმა თავი ასწია და ამოიღუღლუღა:

– ვამაყობ შენით!

●●●

ექიმთან ქალი მივიდა ახალშობილით. ექიმმა ბავშვი გასინჯა და ქალს ეკითხება:

– ძუძუს კვებაზე გყავთ თუ ხელოვნურზე?

– ძუძუს კვებაზე!

– გაიხადეთ, ლიფი მოიხსენით...

ექიმი დიდხანს სინჯავს და ბოლოს ეუბნება:

– ჰოო, რძე არ გაქვთ! გასაკვირი არ არის, რომ ბავშვი მშიერია!

– ექიმო, მე ბავშვის დეიდა ვარ, მაგრამ თქვენთან სტუმრობით კმაყოფილი ვარ!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.





## 20 სექტემბრიდან




# ედიშერ ყიფიანი ტომი I

წიგნი საკმაოდ სქელტანიანია, 560გვ. მასში შესულია მწერლის თითქმის ყველა მოთხრობა და რამდენიმე წერილი.

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


# საქართველომ მონტენეგროს პირველობა არ დაუთმო

**მონტენეგრო-საქართველო 84:90**
**(18:26, 23:19, 21:19, 22:26)**




საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა დასახულ მიზანს მიაღწია და ევროპის 2017 წლის ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვა. ილიას ზუროსის გუნდის ევრობასკეტზე თამაში თითქმის გადაწყვეტილი იყო, რადგან მატჩის წინ ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ნაკრები მხოლოდ 73 ქულით წაგების შემთხვევაში ვერ ითამაშებდა კონტინენტის უმთავრესი შეჯიბრების ფინალურ ეტაპზე. ეს კი ფანტასტიკის სფერო იყო. თუმცა ჩვენებმა მეტიც მოახერხეს, გუნდის ერთ-ერთი ლიდერის, თორნიკე შენგელიას გარეშე სტუმრად 90:84 დაამარცხეს მონტენეგროს ნაკრები და ფ ჯგუფში სულაც პირველი ადგილი დაიკავეს. მონტენეგროელები მე-2 ადგილზე გავიდნენ, მაგრამ საუკეთესოთა შორის მოხვდნენ და ქართველებთან ერთად ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს.

ქართველები მთელი მატჩის განმავლობაში კომფორტული უპირატესობით იგებდნენ, თუმცა, მატჩის დასრულებამდე 1.50 წუთით ადრე 79:84 ჩამორჩნენ და ჯგუფში პირველობა სათუო გაიხადეს, რადგან მეტოქე 3 ქულით უნდა დაგვემარცხებინა. სწორედ ამ მომენტში, ერთმანეთის მიყოლებით მაიკლ დიქსონმა და ვიქტორ სანიკიძემ ორი სამქულიანი ჩააგდეს. რასაც კიდევ 5 ქულა მიაყოლეს,


გაგრძელება მე-10 გვერდზე




## პამელა ანდერსონმა კანადელი რეჟისორისთვის გაიხადა

ამერიკელი მსახიობი პამელა ანდერსონი კანადურ-იაპონური ფილმისთვის The People Garden გაშიშვლდა. აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტი სრულიად ეწინააღმდეგება მის მიერ არც ისე დიდი ხნის წინ გამოთქმულ კრიტიკას, რომელიც პორნოგრაფიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ტრეილერში, რომელიც იუთუბიზეა გამოქვეყნებული, ნაჩვენებია ის მომენტი, როდესაც 49 წლის მსახიობი და მოდელი იხდის.

ფილმი, რომელიც კანადელმა რეჟისორმა ნადეი ლიცმა გადაიღო, მოგვითხრობს კანადელ ქალზე, რომელიც იაპონიაში გაემგზავრა, რათა თავის მუსიკოს მეგობარ მამაკაცთან ურთიერთობა საბოლოოდ დაესრულებინა. იქ ის აღმოაჩენს, რომ მისი მეგობარი მამაკაცი ვიდეოკლიპის გადაღების დროს აოკიგაჰარას ტყეში გაუჩინარდება, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის ცნობილია, როგორც თვითმკვლელთა ტყე. ფილმის პრემიერა მიმდინარე წლის აპრილში არგენტინაში გამართულ კინოფესტივალზე შედგა, ხოლო ფართო გაქირავებაში ფილმი ჯერ არ გამოსულა.

მიმდინარე წლის აგვისტოში ანდერსონმა და რაბინმა შმული ბოტიჩმა უოლ სტრიტ ჯურნალში გამოაქვეყნეს სტატია, რომელშიც ისინი პორნოინდუსტრიის წინააღმდეგ გამოვიდნენ. მათი თქმით, პორნოგრაფია „სულის გახრწნას“ იწვევს და ოჯახურ ბედნიერებას ღუპავს.

– ჩვენ საკუთარ თავსა და შვილებს უნდა ჩავუნერგოთ ის შეხედულება, რომ პორნო ხელმოცარულთა ხვედრია, რომლებიც მეტისმეტად ზარმაცები არიან, რათა ჯანმრთელი სექსუალურობის არსს ჩასწვდნენ, – ამტკიცებდნენ სტატიის ავტორები.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. უმცროს მეთაურთა სამხედრო წოდება რიგ არმიებში; 4. ჩოგბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 7. შხამიანი გველი; 9. საგრილობელი; 12. ქრისტიანული მღვდელმსახურების დროს ხმარებული სურნელოვანი ზეთი; 13. ... კუროსავა; 14. მოდუღებული ყურძნის წვენი; 17. რუსი კომპოზიტორი (XIX ს.); 18. ზეთოვანი მცენარე; 19. წითელი ხავერდის საზეიმო მოსასხამი მეფეებისთვის; 20. ზნეობა.

**შვეულად:** 1. უგონო მდგომარეობა; 2. რუსეთის ფულის ერთეული; 3. ქალაქი იტალიაში; 4. ხომალდის ტვირთი; 5. პატარა სატვირთო-სამგზავრო ავტომობილი; 6. საგნის პირუკუ გამოსახულება ფირზე (შავი თეთრად და პირიქით); 8. კალიფორნიის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი; 10. შავყურძნოვანი ვაზის ჯიში; 11. დღესასწაული-მასკარადი ღია ცის ქვეშ; 14. შეძახილი „ვაშა!“ იაპონურად; 15. თმის სუროგატი; 16. ზეგანი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*





ლურჯი წითელი ყვითელი შავი